ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ახალი და უახლესი ისტორია

თეონა გურული

„უხილავი იმპერიის“ გავლენა აშშ-ის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე

ნაშრომი შესრულებულია ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიეროხელმძღვანელი:

თსუ ასისტენტ- პროფესორი:ზაალ გოგენია

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in Modern and Contemporary History

Teona Guruli

The Impact of "The Invisible Empire" on the Social and Political Life of USA

Thesis is prepared to obtain MA Degree inModern and Contemporary History

TSU assistant professor.Zaal Gogenia

Tbilisi

2019

გურული თეონა

„უხილავი იმპერიის“ გავლენა აშშ-ის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე

ანოტაცია

ჩვენი კვლევის საგანი გახლავთ რასისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის, კუ კლუქს კლანის საქმიანობა. ყველა იდეოლოგიურ დაჯგუფებას ახასიათებს ხისტი და რადიკალური ღონისძიებები, რათა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში დაიმკვიდროს ადგილი. „უხილავი იმპერიის“ აქტივობის თავისებურებები, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მან მოიპოვა პოპულარობა ამერიკელების ცხოვრებაში და ქვეყნის განვითარების პროცესში თავისი ნიშა დატოვა.

გარდა ამისა, ჩვენი კვლევა ეხება კლანის იდეოლოგიურ კრედოს, მის ეკონომიკურ გავლენას, პოლიტიკურ მიზნებსა და კულტურულ მახასიათებლებს. ეს ყოველივე იცვლებოდა დროსა და სივცეში, ორგანიზაციის ძალაუფლების პროგრესისა და რეგრესის შესაბამისად.

ნაშრომში განვიხილავთ კუ კლუქს კლანის მიზნებს, ბრძოლის მეთოდებსა და შედეგებს, რაც ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად დადგა. საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამდენად ვიმედოვნებთ ნაშრომი მიმზიდველი და საინტერესო იქნება.

Guruli Teona

The Impact of "The Invisible Empire" on the Social and Political Life of USA

Annotation

The subject of our research is to study the activity and work of a racist-terrorist organization “Ku Klux Clan”. Every ideological group is characterized by radical and rough activities in order to establish themselves in the social-political system. The peculiarities of the activities pursued by“Invisible Empire”are interesting as much as it was popular among American people and it had the impact on the process of developingof the country.

Furthermore, our research provides information regarding theideological credo of the clan, their economicimpact, political aims and cultural characteristics.These pointswere being changed step by step in compliance with the rises and falls of the organization.

The basic goal of the research is to reveal Ku Klux clan’s aims, methods of the fight and results, being consequences of the clan’s activities.

The above-mentioned issues are less researched in Georgian Historiography, therefore we hope the thesis will be attractive and fascinating.

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. კუ კლუქს კლანის გამოჩენა შეერთებულ შტატებში 8

1.1 კონფედერანტები ერთიანდებიან 8

1.2 კლანის ლიდერები 15

თავიII. ფერფლიდან „უხილავ იმპერიამდე“ 21

2.1 კლანსმენების დაბრუნება 21

2.2კუ კლუქს კლანი ინდუსტრიალიზაციის პირობებში 31

2.3კლანსმენები პოლიტიკაში 44

2.4 კუ კლუქს კლანი და კულტურა 54

თავიIII. მესამე აღორძინება 61

3.1 მესამე კლანი 61

3.2იდეოლოგიურ-რელიგიური იდენტობები 65

დასკვნა 74

გამოყენებულილიტერატურისსია 76

შესავალი

ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, კუ კლუქს კლანს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს რასისტულ-ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელმაც ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ, თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქვეყნის ისტორიაში. ჩვენი უმთავრესი მიზანია, მიმოვიხილოთ „უხილავი იმპერიის“ წარმოქმნის მიზეზები, მისი მიზნები და შედეგი რომელიც კლანსმენებმა დადეს. ნაშრომი არა მხოლოდ საინტერესო ფაქტებს გაგვაცნობს ორგანიზაციის შესახებ, არამედ გამოცდილებას მოგვცემს მსგავსი დაჯგუფებებისგან მომავალი საფრთხის შესახებ. იდეოლოგიური დაჯგუფებების აღმოცენებისა და განვითარების პოტენციალი ნებისმიერ დროსა და სივრცეში არსებობს.

დღესჩვენვსაუბრობთადამიანისფუნდამენტურუფლებებზე, მათშორის რასის,რწმენისთავისუფლებაზე, გენდერულ თანასწორობაზე.აღშფოთებასგამოვთქვამთადამიანისდისკრიმინაციისფაქტებზე, თუმცაარცთუდიდიხნისწინ, შავკანიანთა რასა იყოერთ-ერთიმთავარისამიზნე, ადამიანშიყოველივეჰუმანურობის, თავისუფლებისამოშანთვისსაქმეში, რომელსაცაშშ-ში არაერთი ფაქტი ადასტურებს. მათთან ერთად მსხვერპლის როლში ვხედავთ: ებრაელებს, კათოლიკეებს, სექსუალურ უმცირესობასა და ემიგრანტებს. დღევანდელი გადმოსახედიდან, შეერთებულ შტატებში მსგავსი მოვლენების წარმოდგენა, შესაძლოა გაგვიჭირდეს მაგრამ აღნიშნული პერიოდი, სხვა ქვეყნებისთვის მოტივატორად უნდა იქცეს. განსაკუთრებით იმ განვითარებად ქვეყნებს ვგულისხმობთ, რომლებსაც დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრება მხოლოდ ფურცლებზე არ სურს.

საინტერესო იყო კვლევის პროცესი ვინაიდან დაჯგუფების შესახებ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს. თემაზემუშაობისასგამოყენებულიქნადოკუმენტებისკრებულები, სტატიები, სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე დოკუმენტურიფილმებიდასიუჟეტე-

ბი.*ელაინ ფრანც პარსონის* „კუ კლუქს კლანის დაბადება, რეკონსტრუქციის პერიოდში“[1] დაგვეხმარა ორგანიზაციის დაბადების პერიოდში, ქვეყანაშე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გააზრებაში. *არნოლდ რაისის* კვლევის, „კუ კლუქს კლანი ამერიკულ პოლიტიკაში“[2], წყალობით, შეგვექმნა წარმოდგენა დაჯგუფების პოლიტიკურ მიზნებზე, მათ პოლიტიკაში დამკვიდრების მეთოდებზე და წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე რასაც კლანსმენები ამ სფეროში წააწყდნენ.*დევიდ კუნინგემის* „კუ კლუქს კლანის ერა - სამოქალაქო უფლებების აღმასვლა და დაცემა“ [3] გამოგვადგა კლანის მასობრივი ღონისძიებების, აღლუმებისა და დემონსტრაციების გაანალიზებაში.*ჯონ ჯორჯისა* და *ლაირდ უილკოქსის* ნაშრომის, „ნაციზმი, კომუნიზმი, კლანსმენები: პოლიტიკური ექსტრემიზმი ამერიკაში“ [4], დახმარებით გავეცანით იდეოლოგიურ იდენტობებსა და განსხვავებებს, შევადარეთ რა სხვა დაჯგუფებებს „უხილავი იმპერია“, გამოვკვეთეთ ორგანიზაციის მახასიათებლები, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით.სამეცნიერო ლიტერატურის: *ჰარკორტ ფელიქსის* „კუ კლუქს კულტურა, ამერიკა და კლანი 1920-იანებში“[5], *ჯულია ჯონსონის* „დებატები კუ კლუქს კლანზე“[6], *უილიამ ლუტოზის*„დიდი დრაკონისტეფენსონი და კუ კლუქს კლანი ინდიანაში“[7], რორი მაქვეის „კუ კლუქს კლანის აღზევება“ [8], *ლეონარდ ჯოზეფ მურის* „კლანსმენი მოქალაქეები,კუ კლუქს კლანი ინდიანაში 1921-1928“ [9], წყალობით, საფუძვლიანად შევისწავლეთ ორგანიზაციის მეორედ აღზევებისა და მოღვაწეობის პერიოდი. კუ კლუქს კლანის ძლევამოსილების პიკის (1920-იანები) წლების შესწავლაში, დიდად დაგვეხმარა

---

[1]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015.

[2]**Rice, S.Arnold.** The Ku Klux Klan in American Politics, Public Affairs Press, 1962.

[3]**Cunningham, David.** Klansville, U.S.A.: The Rise and Fall of the Civil Rights-Era Ku Klux Klan, Oxford University Press, USA , 2010.

[4]**George, John; Wilcox, Laird.** Nazis, Communists, Klansmen, and Others on the Fringe: Political Extremism in America, Prometheus Books, 1992.

[5]**Harcourt, Felix.** Ku Klux Kulture: America and the Klan in the 1920s, University of Chicago Press, 2017.

[6]**Johnsen, Julia.E.** Debating the Ku Klux Klan, Westphalia Press, 2015.

[7]**Lutholtz, William M.** Grand Dragon: D. C. Stephenson and the Ku Klux Klan in Indiana. West Lafayette, Ind.: Purdue University Press, 1991.

[8]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.

[9]**Moore, Leonard Joseph.** Citizen klansmen: the Ku Klux Klan in Indiana, 1921-1928, University of North Carolina Press, 1991.

„დიდი მაგის“ *ულის სიმონსის* წესთა კრებული, „კლორანსი“ [10] .*გერჰარდ ლენქსის* „რელიგიური ფაქტორები“[11] და ჯოან სანჩესის „რელიგია და კუ კლუქს კლანი“[12], დიდად დაგვეხმარა კლანის სიმბოლოების, რიტუალებისა და ღონისძიების გამოკვლევის საქმეში.*ტომ რაისის* „თეთრი მანტიები, ვერცხლისფერი ეკრანები: ფილმები და კუ კლუქს კლანის შექმნა“ [13] გამოყენებულ იქნა ორგანიზაციის კულტურული როლის გასათვიცნობიერებლად.

[10]**Simmons.W.J.** Kloran: Knights of the ku klux klan, Atlanta,1916.

[11]**Lenski, Gerhard.** The Religious Factor. Garden City: Doubleday Anchor Books, 1963.

[12] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.

[13]**Rice, Tom.** White robes, silver screens : movies and the making of the Ku Klux Klan, Indiana University Press, 2015.

თავი I.კუ კლუქს კლანის გამოჩენა შეერთებულ შტატებში

1.1 კონფედერანტები ერთიანდებიან

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია არ ითვლის მრავალ წელიწადს, თუმცა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ, მან მოახერხა მრავალფეროვანი და საინტერესო გზის გავლა. შეიძლება ქვეყანა არ გამოირჩევა, საუკუნოვანი ისტორიით, მაგრამ მას შეუძლია იამაყოსიმ ისტორიული პროცესების ხარისხით, რაც სამი საუკუნის განმავლობაში დააგროვა. დღეს აშშ წარმოადგენს შესაშური სახელმწიფო წყობილების, ძლიერი პოლიტიკისა და წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყანას. აშშ-მ მოახერხა და საკამაოდ რთული გზა გაიარა 1776 წლის 4 ივლისიდან დღემდე.

ამ დროის მანძილზე სახელმწიფო დიდ პროგრესს განიცდიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმც კი იყო ჩავარდნებიც რომლებმაც საბედისწერო კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაზე და დიდად განაპირობა თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების ჩამოყალიბება. ასეთ მოვლენად მიგვაჩნია სამოქალაქო ომი, რომელმაც დიდი ფიზიკური და მორალური ზარალი მოუტანა ამერიკელებს, თუმცა ომს დადებითი შედეგებიც მოჰყვა, მათგან უმნიშვნელოვანესია აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება. ჩრდილოეთ შტატები დემოკრატიული პოლიტიკის გამტარებლებად მოგვევლინენ, მაშინ როცა სამხრეთში მონათმლობელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ორ მხარეს შორის დაპირისპირება სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა. ჩრდილოეთში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ დემოკრატიული პარტია, აბრაამ ლინკოლნის მეთაურობით რომელიც პროგრესული რეფორმების გამტარებლად მოგვევლინა. საპირისპიროდ, სამხრეთში 11

შტატი გაერთიანდა და ჩამოყალიბდა კონფედერაცია, ცენტრად დასახელებული იქნა ქალაქი რიჩმონდი ვირჯინიას შტატში. ომი 4 წელი მიმდინარეობდა და 600,000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ის სამხრეთის სრული კაპიტულაციით დასრულდა და 1865 წელს მონობა ოფიციალურად გაუქმდა. მილიონობით შავკანიანმა მიიღო თავისუფლება და კონსტიტუციური უფლებები, მაგრამ კონფლიქტი რასებს შორის არ იყო სრულად აღმოფხვრილი. პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ, მთელი აშშ კვლავ მოიცვა რასების წინააღმდეგობრივმა მოძრაობამ. სწორედ სამოქალაქო ომი უძღვოდა წინ შტატებში, იმ ორგანიზაციის დაარსებას რასაც კუ კლუქს კლანი ეწოდა. ეს უკანასკნელი ფართოდ და სწრაფად მოედო სხვადასხვა სფეროებს, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მე-19, მე-20 საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკის ცენტრშიც მოგვევლინა.

კუ კლუქს კლანის გამოჩენამდე, ამერიკის სამხრეთ ნაწილში სხვადასხვა ტერორისტულ-რასისტული დაჯგუფებები არსებობდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ შავკანიანებს, კონფედერაციის ჯარების ოფიცრებსა თუ ჯარისკაცებს. ასეთი ორგანიზაციები იყო: „Knights of the Golden Circle“ (ოქროს წრის რაინდები), „Knights of the White Camelia“(თეთრი კამელიის რაინდები), „The Fiery Cross“ (ცეცხლოვანი ჯვრები) , „The White League“ (თეთრი ლიგები), “Sons of the South“ (სამხრეთის ვაჟები).მათი დიდი ნაწილი 1960-იან წლებში გატარებული მკაცრი კანონების შედეგად გაუქმდა.

ორგანიზაცია 1866 წლის 6 მაისს ჩამოყალიბდა პულასკაში, ტენესის შტატში. ქალაქში სადაც დღეს ათასობით ადამიანი ცხოვრობს, მაშინ პატარა სოფელს წარმოადგენდა. სწორედ აქ შეიკრიბა, 6 ყოფილი კონფედერატი ჯარისკაცი, რომლებმაც საიდუმლო ორგანიზაციის დაარსება გადაწყვიტეს.[14] კლანელებმა თავიდანვე შექმნეს საკუთარი წესები და მკაცრი პირობა დადეს რომ ყოველივე რაც კლანს უკავშირდებოდა გასაიდუმლოებული იქნებოდა. უკვე მესამე შეკრებაზე გადაწყვიტეს რომ ყოველ წევრს საკუთარი ფორმა უნდა ჰქონოდა, დიდი თეთრი ბალახონი და თეთრი მოსაცმელი

[14]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ.27.

მანტია. შეკრებები ძირითადად ღამ-ღამობით იმართებოდა და ქალაქგარეთ.კუ-კლუქს-კლანი თავდაპირველად არ განსხვადებოდა აშშ-ის სხვა რასისტული ორგანიზაციებისგან.ისინი მიილტვოდნენ "თეთრების უპირატესობის" თეორიის გავრცელებისკენ. მე-19 საუკუნისთვის კლანი წარმოადგენდა სოციალურ გაერთიანებას, რომელიც შედგებოდა კონფედერაციის ვეტერანებისაგან, მიზანი კიშავკანიანებისგან მომავალი საფრთხის არიდება და მათი დაშინებაგახლდათ. კლანის დამაარსებლები იყვნენ: ფრენკ მაკკორდი, ჯონ ლესტერი,ჯონ კენედი, ჯეიმსქროუ, თომას ჯონსი და რიჩარდ რაიდი. დაჯგუფების სახელი მოდის ბერძნული სიტყვისგან კუკლოსი (kyklos) რაც ნიშნავს წრეს. [15] ეს ყველაზე გავრცელებული აზრია ორგანიზაციის სახელთან დაკავშირებით, რომელსაც კლანსმენ რაიდსმიაწერენ. თავდაპირველად „კუ კლუქს რაინდები“ უნდა დარქმეოდა თუმცა, ვინაიდან ამ ტიპის გაერთიანებებში სიტყვა რაინდი ხშირად გვხვდებოდა , კენედიმ იგი ჩაანაცვლა კლანით. მეორე მოსაზრების თანახმად კუ-კლუქსი იარაღის გადატენვის შედეგად გამოცემულ ხმასთან ასოცირდება.[16]

1867 წლის ზაფხულში კლანი ჩამოყალიბდა როგორც "სამხრეთის უხილავი იმპერია" , ნაშველის პირველ ყრილობაზე, ტენესში.[17]ყრილობას ესწრებოდნენ დელეგატები ძველი კონფედერაციის შტატებიდან, ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ „დიდი მაგები“. ამ დროისთვის ორგანიზაცია უკვე საკმაოდ გაძლიერებული იყო და კონფიდენციალურობასაც დააღწია თავი. კლანი, საკუთარ ეგრეთ წოდებულ კანონებს ქმნის და ავრცელებს. ამ ყრილობაზე პირველად გაჟღერდა დიდიდრაკონის ორდენის შექმნის იდეა, რომლის პირველ მეთაურად წარდგა გენერალი ნათან ბედფორდ ფორესტი. კონფედერაციული კავალერიის გენერალ, ნათან ბეთფორდს სჯეროდა, რომ ის იყო გამორჩეული მაგი. ორდენში ასევე იყვნენ, ცნობილი კავალერისტი კონფედერატები, ყოფილი არმიის წარმომადგენლები, ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები. მათ შორის, ჯონ გორდონი ჯორჯიიდან, გენერალი ჰარდი ალაბამადან,

[15]**Chalmers, David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.1.

[16]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 30.

[17]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 8.

ვეიდ სამპტონი სამხრეთ კაროლინადან. 1863 წლისთვის კლანელთა რიცხვმა 600,000ს მიაღწია.[18] მათ მიიღეს დეკლარაცია , და გამოყვეს მოძრაობის სამი ძირითადი მიმართულება. პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო უკანონობისა და უსამართლობის მსხვერპლ უდანაშაულო ადამიანებზე და მათ დაცვაზე აიღეს ორიენტაცია. ასევე დღის წესრიგში დააყენეს კონფედერატიჯარისკაცების, მათი ქვრივებისა და დაობლებული ბავშვების დახმარების აუცილებლობა.დეკლარაციის ბოლო პუნქტი ითვალისწინებდა ტერიტორიების ხელშეუხებლობას.[19] ეს უკანასკნელი მიმართული იყო „მტრულად განწყობილი უცხოელების“ წინააღმდეგ.

ნაშველის ყრილობის გადაწყვეტილებით, უხილავი იმპერიის ტერიტორიებად ითვლებოდა: ვირჯინიის, მერილენდის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინის, ფლორიდის, ჯორჯიის, მისისიპის, კენტუკის, ალაბამისა და ტენესის შტატები.[20] სწორედ ამ ყრილობაზე გამოაშკარავდა კლანელთა მთავარი მოთხოვნები ახალი კანდიდატის მიღებასთან დაკავშირებით.ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო თეთრკანიანთა უპირატესობის მომხრე შავკანიანებზე და მხარი უნდა დაეჭირა თეთრი რასის ბატონობისთვის სახელმწიფოში.ამის შემდეგ ხდებოდა ფიცის დადება კლანსმენთა და ცეცხლმოკიდებული ჯვრების წინაშე. კანდიდატს ასევე მოეთხოვებოდა ანტიკათოლიკური და ანტისემიტური ხედვა.

იმ დროისთვის კლანის მოღვაწეობას ჰქონდა როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგები. კლანი იდგა მოქალაქეების ქონებისა და უფლებების უსაფრთხოებისმხარეს, იცავდა მათ სამხრეთ შტატებში ხელისუფლების უკანონო ქმედებებისგან, კერძოდ ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და იდენტური ორგანიზაციის„„თავისუფალი ბიუროს“ („ The Freedmen's Bureau“) წევრებისგან. მეორეს მხრივ უამრავ დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიოდნენ, კლანელთა ნიღბის ქვეშ.

---

[18]**Chalmers, David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.28.

[19]**Chalmers, David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.170.

[20]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 29.

კლანში იერარქიას დიდი ყურადღება დაუთმეს. იერარქიის წოდებები გადანაწილებული იყო ორგანოების მიხედვით. ორგანოები, თავის მხრივ იყოფოდა განყოფილებებად. პირველ ორგანოს გააჩნდა სამი ძირითადი განყოფილება:

1. *იმპერია, რომელსაც ხელმძღვანელობდა „დიდი მაგი“ მას ემორჩილებოდა ათი ჯინი, დიდი ხაზინადარიდა დიდი აღმწერი.*
2. *სამეფო, მის სათავეში იდგა„დიდი დრაკონი“, რომელიც მეთაურობდა რვა ჰიდრას, დიდ აღმწერსა და დიდ ხაზინადარს.*
3. *პროვინცია, „დიდი ციკლოპი“ მეთაურობით, რომელსაც ექვემდებარებოდა 5 გობლინი, დიდი აღმწერი და დიდი ხაზინადარი.*[21]

ასევე არსებობდა მეორე ორგანო, გამოძიების კომიტეტი. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ახალწევრების შერჩევა. ორგანოს განკარგავდა დიდი ციკლოპი, დიდი ჯადოქარი და დიდი ბერი. როდესაც კლანის წევრი წარადგენდა კანდიდატს, ეს უკანასკნელი უნდა შემოწმებულიყო ამ ორგანოს მიერ, დიდი ციკლოპი ადასტურებდა მის გაწევრიანებას და ადებინებდა ფიცს.[22]

მესამე ფლანგზე იდგა ორი ორგანო _ იაჰუთა დიდი საბჭო და კენტავრთა დიდი საბჭო. პირველს ხელმძღვანელობდადიდი გოლიათი მეორეს კი დიდი გრძნული. იაჰუთს დიდი საბჭოს მთავრის კომპეტენცია, კლანის მაღალჩინოსანთა გასამართლება იყო, ხოლო, „კენტავრები“ გჰულთა შორის სამართალს აწესრიგებდნენ.[23]

„უჩინარი იმპერია“ მართლაც ამართლებდა სახელწოდებას. ის იყო საიდუმლოებითა და იდუმალებით მოცული. არც ერთმა წევრმა არ იცოდა როდის და სად ჩატარდებოდა მომდევნო შეხვედრა. იმ წლებში ძალიან ბევრ ძალადობრივ აქტს ჰქონდა ადგილი კლანელთა მხრიდან. მსხვერპლებს ძირითადად „დამნაშავე შავკანიანები“ და „მოღალატე თეთრკანიანები“ წარმოადგენდნენ. კლანსმენები მიდიოდნენ შავკანიანთა სახლებში, მათ წყალს სთხოვდნენ დასალევად დიდი ჭურჭლით, სინამდვილეში წყალს

[21]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 46.

[22]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 44.

[23]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 45.

არ სვამდნენ, მანტიებში დამალულბალონებში ღვრიდნენ, და აცხადებდნენ რომ ეს იყო პირველი ყლუპი, რომელიც შილოს ბრძოლის*(სამოქალაქო ომის გამორჩეული ბრძოლა 1862 წლის 6-7 აპრილს, ტენესში)* შემდეგ მათ მოსვეს.[24]კლანის ეს საყვარელი ხუმრობა აოცებდა და აშინებდა შავკანიან მოსახლეობას, ავრცელებდა თქმულებებს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა მოჩვენენბებზე და ხშირად ფიზიკური თავდასხმითაც მთავრდებოდა.საყურადღებოა რომ, მთელი კუ კლუქს კლანის თავდასხმების ისტორიაში, არასდროს ყოფილა მსხვერპლი ქალი ან ბავშვი, მათი კანის ფერის, ასაკისა თუ რასის მიუხედავად.კლანსმენები მკაცრად იცავდნენ ქვრივებისა და ობლების უფლებებს. ნებისმიერი დაუცველი ადამიანის მიმართ ძალადობის შემჩნევის დროს კლანელები გაფრთხილებას აძლევდნენ მოძალადეებს ხოლო განმეორების შემთხვევაში ისინი ემუქრებოდნენ „თეთრი რაინდის“ მხრიდან ფატალური შედეგების მიღებით, რაც ხშირად მართლაც ხდებოდა.[25]

კლანის წევრები ზედმიწევნით აკვირდებოდნენ სახელმწიფო ჩინოვნიკების საქმიანობას. თუ ადგილი ექნებოდა გადაცდომას, თეთრი მოქალაქეების მიმართ დაუყოვნებლივ უგზავნიდნენ გაფრთხილებას, რომ დაეტოვებინათ ქალაქი, რეგიონი, რაც როგორც წესი სწრაფად სრულდებოდა. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევები, ხშირად მკვლელობით მთავრდებოდა. ასეთივე ბედი ელოდა მას, ვინც შუღლს აღვივებდა ზანგებსა და თეთრ მოსახლეობას შორის, ან მათ თანასწორუფლებიანობას ქადაგებდა. ყველა რეგიონში სადაც კლანის წევრები მოქმედებდნენ , ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ გაეგოთ ორგანიზაციის წევრების შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია. თუმცა კლანის წევრების მობილიზირებისა და კარგი ორგანიზებულობის წყალობით ამას ვერ ახერხებდნენ. ისინი საერთო ინტერესების გარშემო მჭიდროდ იყვნენ გაერთიანებული და პრაგმატულად გეგმავდნენ რეკონსტრუქციას. მეტწილად, კლანსმენები ხელმძღვანელად ირჩევდნენ ქალაქის ან რეგიონის გავლენიან პირს.

---

[24]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 103.

[25]**Chalmers, David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.105.

ორგანიზაციის ქმედებები იწვევდა უკმაყოფილებას სხვადასხვა გუბერნატორებსა და ფედერალურ აგენტებს შორის. 1868 წლიდან დაიწყო აქტიური ღონისძიებების გატარება კლანის აღმოსაფხვრელად.ამავე წელს მოიწვიეს კრება, შტატში იმის გამო, რომ აღეკვეთათ კლანის მოქმედებები. კრებაზე გადაწყდა, რომ ნებისმიერი კანონიერი დარღვევა ორგანიზაციის მხრიდან დაჯარიმდებოდა 500$ - ით, ასევე მათ თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ მინიმუმ 5 წლის ვადით. ნებისმიერ მოქალაქეს ენიჭებოდა უფლება დაეკავებინა კლანის წევრი შტატის საზღვრებში.[26]

მაგრამ ეს კანონები ნაკლებეფექტური გამოდგა. ტენესში, კლანის სამშობლოში, კლანი ძალიან ორგანიზებული იყო,წევრთა რაოდენობა 40 ათას ადამიანზე მეტს ითვლიდა. ასეთი საქციელი პირიქით თეთრ მოსახლეობას უბიძგებდა კლანის წევრებთან თანამშრომლებისკენ, კლანი იშლებოდა, არა რომელიმე კანონმდებლობით მიღებული აქტის შედეგად, არამედ შეიცვალა მისი არსებობის პირობები. 1869 წლის თებერვალში გენერალმა ფორესტმა - „დიდებული ვეზირი“ გამოსცა პროკლამაციები რომელიც „უჩინარი იმპერიის“ თითოეულ წევრისთვის იყო განკუთვნილი. სადაც იყო ლაპარაკი რომ ორგანიზაცია ძირითადად ასრულებდა იმ მოვალეობებს, რისთვისაც შეიქმნა ის.„ჩვენ აღარ გვეშინია ჩვენი საკუთრების, სიცოცხლის და წესრიგის“.[27]

მიუხედავად იმისა რომ კლანსმენთა უმრავლესობა ეთიშებოდა ორგანიზაციას, ამ ბრძანების საფუძველზე 1869-1870 წლებში ისეთ შტატებში როგორებიც იყო ალაბამა და მისისიპი კლანის მოქმედებები გრძელდებოდა 1873 წლამდე.ამავდროულად, ლუიზიანაში „თეთრი კამელიის რაინდებმა“, თავი გამოაცხადეს „ახალ რაინდებად“, მაგრამ 1880იანებში ყველა მსგავსი ორგანიზაცია გაუქმდა, და მსგავსი ჯგუფებიც აღარ შექმნილა სამხრეთში.[28]

საყურადღებოა რომ, 1867-1869 წლებში კუ კლუქს კლანის საქმიანობა იყო ანარეკლი იმ დროის საყოველთაო დაუმორჩილებლობის, რომლითაც ჩანდა სამხრეთელთა

---

[26]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 219.

[27]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 50.

[28]**Chalmers, David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.190.

დამოკიდებულება ჩრდილოეთელებისადმი. ხოლო მხედრები, თეთრი ბალახონებით იქნცნენ წინააღმდეგობის სიმბოლოდ „სამხრეთის უკანონობისა“, რომელსაც შავკანიანები ჩადიოდნენ, ან უბრალოდ მათ მიაწერდნენ ხოლმე. კუ კლუქს კლანის საქმიანობა გახდა შეიარაღებული დაპირისპირებისილუსტრაცია რეკონსტრუქციის ტირანული პოლიტიკის მიმართ.

1869 წელს გამოიცა პირველი ოფიციალური დოკუმენტი რომელიც კუ კლუქს კლანის საქმიანობის ხასიათს განსაზღვრავდა.ეს დოკუმენტი სხვადასხვა მკვლევრებმა დაასათაურეს სახელებით: „საშინელი ერა“, „საშინელი საათი“, „შავი ეპოქა“.[29]დოკუმენტი ხაზს უსვამდა რომ კლანი არ იყო ძალადობრივი, აგრესიულიდა უკანონო ინსტიტუტი. და რომ ორგანიზაცია შეიქმნა თავდაცვისა და არა ძალადობის მიზნით. აცხადებდნენ რომ კლანი ისწრაფვის კანონიერების განსამტკიცებლად და არა მის წინააღმდეგ, ასევე კლანი არ წარმოადგენდა შავკანიანთა მტერს, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუპირისპირდებოდნენ მათ თუ ზანგები იქნებოდნენ ომის ინიციატორები.

1871 წელს გენერალმა ფორესტმა თავად დაშალა ორგანიზაცია.[30] სავარაუდო მიზეზი იყო ის, რომ კლანის კონფიდენციალურობას საფრთხე შეექმნა. პირველმა კლანმა აშშ-ში მინიმუმამდე დაიყვანა რესპუბლიკელთა მხარდამჭერების რაოდენობა. მრავალი შავკანიანი გამოასალმა სიცოცხლეს. პროტესტანტებისა და თეთრების უპირატესობის პროპაგანდამ თავისი შედეგი გამოიღო, თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. კლანის გავლენის შესუსტებამ 1870 იანების დასაწყისში, საქმემის გაუქმებამდე მიიყვანა. ოფიციალურად 1871 წლის 12 ოქტომბერს, პრეზიდენტმა ულის გრანდტმა კანონის ფარგლებში კლანი გაუქმებულად გამოაცხადა, ამავდროულად კლანის ლიდერების დაპატიმრების ბრძანებაც გასცა. [31] ამგვარად, კლანსმენთა უმრავლესობა გასამართლებული იქნენ ფედერალურ სასამართლოებში სადაც ნაფიც მსაჯულებს ძირითადად აფრო-ამერიკელები წარმოადგენდნენ.

---

[29]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ. 50.

[30]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.37.

[31]**Parsons, Elaine Frantz.** Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015. გვ.221.

1.2კლანის ლიდერები

მოძრაობის მიზანი კარგად ჩანს შემდეგ სიტყვებში: „ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა პატრიოტიზმისა და ლოიალური ურთიერთობების მომხრე, სამოქალაქო საზოგადოებაში. გულწრფელი მშვიდობის მომხრე ხალხთა შორის, ბედნიერების, ძმობის, სიმამაცისა და თანასწორობის მხარდამჭერი. ორგანიზაციის სული წარმოადგენს ძვირფას მემკვიდრეობას, მათთვის ვისაც უყვარს საკუთარი ქვეყანა და ტრადიციები. ჩვენი შემართება ყოველთვის გააძლიერებს ნამდვილ მამაკაცებს და დაიცავს ქვეყანას“. [32] კლანი რთული და ფართო მოვლენა იყო, თუმცა დროის სხვადასხვა მონაკვეთში თავისებურებები ახასიათებდა, რაც უმთავრესად მისი ლიდერების დამსახურებაა. გადავხედოთ ამ უკანასკნელთა საქმიანობას.

ნათან ბედფორდ ფორესტი- კონფედერანტთა არმიის გენერალ ლეიტენანტი და კუ კლუქს კლანის პირველი ლიდერი. ის დაიბადა რეკონსტრუქციის პერიოდში 1821 წლის 13 ივლისს, ტენესში. მას არ მიუღია სრული განათლება, თუმცა საუკეთესო უნარების, მანერებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად, შეძლო საკუთარი თავის რეალიზაცია და გამოჩენილ მეომრად მოგვევლინა. ომის დაწყებამდე ფორესტი უკვე ფლობდა საკმაო ძალაუფლებას. იგი ვაჭრობდა ბამბით, ცხენებითა და სხვა შინაური ცხოველებით ტენესისა და მისისიპის შტატებში. მწარმოებლობაში დიდად დაეხმარა მათემატიკური აზროვნება. 1861 წელს, ის საკუთარი სურვილით წავიდა მოხალისედ კონფედერატთა არმიაში. და მალე გახდა კავალერიის პოლკის მეთაური. 1861 წელს, თებერვალში გენერალმა გრანტმა დაიკავა დენელსის ფრონტი, ფორესტმა თავისი ჯგუფით გაარღვია ალყა. შილოს ბრძოლების დროს ის იყო დანიშნული მთელი კონფედერაციის კავალერიის ხელმძღვანელად. 1865 წლის თებერვალში, ფედერალისტებთან ბრძოლისას საგრძნობლად გამარჯვების დროს ბრაისკროუს-როუდთან ფორესტი აღიარეს და

[32]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.155.

აიყვანეს გენერალ-ლეიტენანტის რანგში. 1865 წელს გენერალ უილსონის ჩაბარებით, პრაქტიკულად დამთავრდა სამოქალაო ომი აშშ-ში. ომის შემდეგ გადამდგარი გენერალი დასახლდა მემფისში თავის სახლში სადაც 1878 წელს, 56 წლის ასაკში დაიღუპა.[33]

პროფესორი ევეროუდი თავის წიგნში *„ნათან ფორესტის ცხოვრება“* აღწერს ერთ ფრაგმენტს, გენერალზე. ომის შემდეგ როდესაც ის ხელმძღვანელობდა სარკინიგზოგზის მშენებლობას ალამბოში, მას კამათი მოუვიდა დამხმარესთან და იგი დუელში გამოიწვია. პატივმოყვარების მიუხედავად გენერალი როცა მიხვდა რომ უმიზეზოდ კამათობდა ქვეშევრდგომთან მას ბოდიშიც კი მოუხადა. ფორესტის სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია მთელს სამხრეთში. განსაკუთრებით იმ შტატებში სადაც მისი ბატალიონი გმირობით იყო განთქმული. [34]

ტენესის შტატის გუბერნატორმა მისი დაკრძალვის ცერემონიალზე წარმოთქვაშემდეგი სიტყვები:

„ისტორიამ შექმნა ფორესტი საუკეთესო კავალერისტად, მთელი ამერიკის ისტორიის განმავლობაში“. გენერალი შერიმანი რომელიც მის მოწინააღმდეგე იყო აღიარებდა მის გამორჩეულ მხედართმთავრულ ნიჭსა და გონივრულობას. ის ვერასდროს ხვდებოდა ფორესტის სამხედრო ჩანაფიქრებს, მაშინ როცა ფორესტი უმალვე შიფრავდა შერიმანის მიზნებსა და გეგმებს“.[35]

უილიამ ჯოზეფ სიმონსი - კლანის აღორძინების ინიციატორი 1915წელს და ახალი „უხილავი იმპერიის“ მეთაური პოლკოვნიკი სიმონსი ატლანტადან. მისი იდეოლოგიური პროგრამა ეყრდნობოდა სამ გაგებას: პატრიოტიზმი, ამერიკანიზმი და თეთრი რასის უპირატესობა. [36] სიმონსი გამოირჩეოდა შეუპოვრობით, გამბედაობითა და თავდადებით.

---

[33]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.9.

[34] Nathan Bedford Forrest Biography,Biography.com, June 28, 2019, ელექტრონული ვერსია იხ.:https://www.biography.com/political-figure/nathan-bedford-forrest

[35] Nathan Bedford Forrest Biography,Biography.com, June 28, 2019, ელექტრონული ვერსია იხ.:https://www.biography.com/political-figure/nathan-bedford-forrest

[36]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.20.

ის იყო მაქსიმალისტი ყველა სფეროში. ეს ყველაფერი დაედო საფუძვლად კლანის ხელახალ აღზევებას.

პოლკოვნიკი სიმონსი დაიბადა ალაბამას შტატში, ექიმის ოჯახში. ბავშვობიდან ოცნებობდა მამამისის გზის გაგრძელებას კარიერული თვალსაზრისით. ორწლიანი სწავლების შემდეგ, ოჯახში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა სიმონსი აიძულა დაეტოვებინა სამედიცინო სასწავლებელი.ესპანეთთან ომის დაწყებისთანავე, 1898 წელს, სიმონსმა გადაწყვიტა სამხედრო საქმიანობისთვის მიეძღვნა თავი და მოხალისედ ჩაეწერა ალამბოს პირველ ქვეითთა პოლკში.თანდაყოლილი თვისებებისა და აღზრდის შედეგად სიმონსმა მალევე მიაღწია წარმატებას უფრო მეტიც, ის აპირებდა დარჩენას პოლკში. თუმცა საეკლესიო ცხოვრებაში ჩაერთო და გადაწყვეტილებაც შეიცვალა, ახლა უკვე მღვდლობას აპირებდა. როგორც სიმონსი იხსენებდა, ამავე პერიოდში მას ჰქონდა ხილვა, როდესაც ღამე ცას და ღრუბლებს გაჰყურებდა, უეცრად ღრუბლებმა აშშ-ის რუკის ფორმა მიიღო, რომელზეც ნელა გადადიოდნენ მხედრები, კლანელთა მანტიებში გამოწყობილი. სიმონსი მუხლებზე დაეცა და დაიფიცა, რომ აღადგენდა ძლევამოსილ მეგობრობას და კუ კლუქს კლანის ორგანიზაციას. მან მიზნად დაისახა რასობრივი პრობლემის მოგვარება, იმ გმირთა სულების უკვდავსაყოფად, ვინც სამოქალაქო ომში გარდაიცვალა. ეს დაედო საფუძვლად „უხილავი იმპერიის“ აღორძინებას, რომელიც რამდენიმე წელში ყველაზე მასიურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. სიმონსმა შექმნა მეორე კლანი პირველის რეალურმაგალითზე.[37]

1915 წელს, სიმონსმა ალამბოში შეკრიბა თავისი ყოფილი მეგობრები, ზოგიერთი მათგანი ძველი კლანის წევრი გახლდათ. ყველა მოწვეულმა აღფრთოვანებით მიიღო კლანის რეკონსტრუქციის იდეა. მათგან 34-მა ხელი მოაწერაახალ პეტიციაზე „კუ კლუქს კლანის რაინდების შესახებ“. [38] მათ თავი გამოაცხადეს კლანელთა ერთადერთ მემკვიდრედ ყველა რეგალიაზე, რიტუალზე თუ ტრადიციულ სიმბოლოებზე. ამის შემდეგ, ყოველ წელს იმართებოდა კლანის წევრების გამოსვლა, ტრადიციული სამოსითა და

[37]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.21.

[38]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.21.

ბალახონებით. ამონარიდი სიმონსის პეტიციიდან: „ჩვენ გულწრფელი პატრიოტიზმის მომხრეები ვართ, სამოქალაქო ხელისუფლების მხარდამჭერნი, ადამიანებს შორის მართალი ურთიერთობის, თანასწორუფლებიანობის მომხრენი. ყველა ამერიკულ ოჯახში ბედნიერების, მშვიდობის, სიყვარულის, ძმობისა და ვაჟკაცობის მხარდამჭერნი".[39]
ისტორია სავსეა მაგალითებით როდესაც, დაჩაგრულ ადამიანებს სხვა გამოსავალი არ რჩებოდათ და საიდუმლო სამხედრო საზოგადოებას ქმნიდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ განთავისუფლდებოდნენ ძალადობისა და ტირანიისგან. როდესაც ჩაცხრა შტატებს შორის დაპირისპირება , დაიწყო შიდა ომი თავისუფლებისა და ცივილიზაციის არსებობისთვის.
ორი ორგანიზაციის კავშირის შესახებ. „პირველი კუ კლუქს კლანის სული ცოცხალია და წარმოადგენს ძვირფას მემკვიდრეობას ყველასთვის, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა და ამაყობს მისი ტრადიციებით, ეს სული ყოველთვის გაუთბობს გულებს ნამდვილ მამაკაცებს და გაგვაერთიანებს ახალი ბრძოლების გარშემო, ჩვენი ქვეყნის დასაცავად. ორგანიზაციაში შესაცვლელად ჩვენ ვღებულობთ მხოლოდ გამორჩეულ ხალხს, მას ვინც არ აღიარებს ამერიკის ხელისუფლების აბსოლუტურ უპირატესობას, მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში, კლანის წევრი ვერ გახდება. ასევე ძირითადი მოთხოვნა იყო პროტესტანტობა." სახელმწიფოებრივი და რელიგიური ორგანიზაციებისთვის შესაძლებელი იყო ორგანიზაციაში შესვლა.[40]
პოლკოვნიკი სიმონსი ასევე იყო აშშ-ში ყოფილი ლანის/ლანერის უნივერსიტეტის მეთაური, რომელსაც სახელი ცნობილი სამხრეთელი პოეტის - სიდნი ლანის საპატივცემულოდ ეწოდა.[41]ეს საგანმანათებლო ცენტრი დიდი ხნის მანძილზე კუ კლუქს კლანის ფინანსური თუ მორალური მხარდაჭერით სარგებლობდა. უნივერსიტეტი იმ ეპოქის ახალგაზრდა სწავლულთათვის დიდ როლს ასრულებდა.უნივერსიტეტის მთავარი მოთხოვნა შტატების ისტორიისა და ბიბლიის შესწავლა იყო.

---

[39]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.22.
[40]**David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.108.
[41]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.21.

სიმონსის კავშირების მიღწევა იყო კლანის რეკლამირება ყოველკვირეულ გაზეთში „The Investigators“ (გამომძიებლები). ამერიკის ასოციაციის მიერ გამოშვებულ ამ გაზეთმა, კლანის პროპაგანდას დიდად შეუწყო ხელი ატლანტაში.

პოლო ეტერიჯი - კლანის იმპერიის ადვოკატი ჯორჯიის შტატიდან. ის გახლდათ ერთ-ერთი გამორჩეული იურისტი ატლანტის იუსტიციის კოლეგიისა. ის თვლიდა, რომ კლანი იბრძოდა ყველა იმ მონაპოვარისთვის, რაც კი ცივილიზაციას შეუქმნია. და ყველა უკანონობის, დანაშაულების წინააღმდეგ.

ლუის დევიდ ბეიდი - კლანსმენთა იმპერიის მდივანი. ისიც კერძო ბიზნესმენი იყო სამხრეთ ტელეფონებისა და ტელეგრაფების მწარმოებელი. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ ორგანიზაციას შეეძლო გადაერჩინა ამერიკული პატრიოტიზმი, და ამაყობდა რომ მისი მონაწილე იყო.

ფ.ჩავადსი- დიდი გობლინი, იყო ერთ-ერთი წამყვანი დეტექტივი ქვეყანაში. 13 წის მანძილზე ნიუ-იორკის იურიდიული სააგენტოს მფლობელი. ასევე ამერიკის რკინიგზის პოლიციის მაღალჩინოსანი. მას ორგანიზაციის მთავარ პრობლემად მიაჩნდა, კლანის სახელით უამრავი დანაშაულის ჩადენა და ამ შემთხვევაში იგი იყო დამნაშავეების დასჯის მომხრე.

ედვარდ იანგ კლარკი - კუ კლუქს კლანის, ატლანტისპროპაგანდის დეპარტამენტის უფროსი.ის ფართო სარეკლამო კომპანიის- „სამხრეთის საზოგადო ასოციაციის“ ხელმძღვანელი იყო.მისი ძმა გახლდათ ყველაზე გავლენიანი გაზეთის„the Constitution“ (კონსტიტუცია) - რედაქტორი. იგი ხელმძღვანელობდა კლანის აქციებს და აკონტროლებდა ორგანიზაციის ბიუჯეტს. ის გეგმავდა ღონისძიებებს და კავშირს ამყარებდა პოტენციურ სპონსორებთან.

ელისაბეთ ტაიმერი - „ქალი საოცარი ბედით“, რომელიც იყო კლარკის ბიზნეს პარტნიორი. 15 წლის დაქვრივებულმა ქალმა, დამოუკიდებლად მოახერხა და გახდა სარეკლამო სააგენტოს დირექტორი. ის ოფიციალურად კლანის წევრი არ იყო, ვინაიდან

იმ დროს -WKKK (ქალთა კუ კლუქს კლანი)ჯერ არ იყო შექმნილი, თუმც კი დიდი წვლილი მიუძღვის კლანის მიზნების გავრცელებასა და განვითარებაში.[42]

თავი II.ფერფლიდან „უხილავ იმპერიამდე“

2.1 კლანსმენების დაბრუნება

ორიგინალი კლანისდაშლიდან,თითქმის 40 წლის შემდეგ ფერფლიდან ახალი კლანი აღმოცენდა 1915 წელს. მეორე კლანის დამაარსებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვევლინა- კონელ უილიამ ჯოზეფ სიმონსი, როგორც შთაგონებული საბოლოო საქმის შემნარჩუნებელი სიმონსი იყო ალაბამელი ექიმის ვაჟი. ფერმერი, ცხენოსანი და სამხრეთის ისტორიის ლექტორი ლანიერის უნივერსიტეტში. ის მუშაობდა სამედიცინო

[42]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.21.

ორგანიზაციაში, თუმცა მას ტიტული „კოლინელი“ მოჰყვებოდა ესპანეთ-ამერიკის ომიდან. გარდა ამისა სიმონსი გაწევრიანებული იყო სხვადასხვა საიდუმლო ორგანიზაციებსა და საძმოებში როგორიცაა ,,პითიას მსახურთა ორდენი“ და სხვა.[43]1915 წლის დასაწყისში სიმონსმა შეიმუშავა ორგანიზაციული ჩარჩო, ახალი კუ კლუქს კლანისთვის. 1867 წლის მიხედვით, სიმონსმა დაგეგმა კლანის რეკონსტრუქციის განკარგულება „უხილავი იმპერიისთვის“.[44] ახალი რიტუალები, იერარქია, ეს ყველაფერი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ორიგინალთან. მან დაიცვა იმპერიის ოსტატების პოზიცია. როცა მან დაასრულა თვითმართველობის სტრუქტურიზაცია, ოსტატებმა წარადგინეს 54 გვერდიანი პამფლეტი სახელად კლორანსი. მიუხედავად იმისა რომ სიმონსმა წევრები დააფიცა კლორანსის შინაარსის კომფიდენციალურობაზე, მან გადაიღო დოკუმეტის ასლი 1917 წელს და ორი ასლი განათავსა კონგრესის ბიბლიოთეკაში.[45]

თუმცა, იმპერიის ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ კლანის განახლების გადაწყვეტილება იყო ღვთაებრივი შთაგონება რეალური მიზეზი სულ სხვა იყო.სიმონსიდა მისი მიმდევრები მიმართული იყვნენ კაპიტალიზაციის გზით განეახლებინათ ინტერესები და მოეხდინათ კლანის რეკონსტრუქცია, ვინაიდან რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რომელიც გასცდა მათ კონტროლს.

1915 წელს 14 წლის მერი ფაგანის გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტმამარიეტაში, ჯორჯიაში საზოგადოება შეძრა, როცა მისი სხეული აღმოაჩინეს ქარხნის სარდაფში. სადაც გოგონა მუშაობდა . ლეო ფრანკი, მისი ებრაელი დამსაქმებელი დააპატიმრეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა. ჯორჯიის მთავრობამ შეაჩერა მისი სიკვდილით დასჯა სამოქალაქოლიბერალური ჯგუფების ზეწოლით. 1915 წლის 16 აგვისტოს ის ბრბომ ციხიდან გაიტაცა და ლინჩის წესით გაასამართლა. პოპულისტების ყოფილმა ლიდერმა და კონგრესმენმა ტომას უოტსონმა ამ ფაქტს უწოდა „კუ კლუქს კლანის აღზევება“,[46]

---

[43]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.19.

[44]**Simmons.W.J.** Kloran: Knights of the ku klux klan, Atlanta,1916.

[45]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.66.

[46]**Mecklin , John Moffatt.** The Ku Klux Klan: A Study of the American Mind, Russell and Russell, 1963.გვ.96.

თავისმხრივ კლანმა მოუწოდა უოსტონს ორგანიზებულად მოქცეულიყო კლანის წესების აღსადგენად.

კლანის დაბრუნება იყო ერთი საკითხი და მეორე კი, მოკლე დროში ფენომენალური რეკრუტირების შედეგი. ამას დიდად შეუწყო ხელი გამოჩენილი ამრიკელი რეჟისორის - დ.ვ. გრიფიტსის ნოვაციური ფილმის, „ერის დაბადების" გამოსვლამ.[47]

ოდესღაც ოპორტუნისტმა სიმონსმა , განზრახ განათავსა ფილმის რეკლამები ატლანტას გაზეთებში. სიმონსმა გამოიყენა მისი საძმოს კავშირები - წევრთა მატებისთვის, ძველი პროფესიები, მქადაგებლობა და პედაგოგობა გამოიყენა რელიგიური შეხედულებების გასავრცელებლად, ხოლო ორატორული ნიჭი საზოგადოებაზე იდეოლოგიური გავლენის მოსახდენად, რათა გაეფართოვებინა ორგანიზაცია. თავდაპირველი შედეგებით სიმონსი ვერ იტრაბახებდა. 5 წელიწადში მან მხოლო 2000 სამხედრო წევრი მოაგროვა. 1920-იანების დასაწყისში მოძრაობა ჯორჯიისა და ალაბამას შტატებით შემოიფარგლებოდა, ამასთან ახლდა ფინანსური პრობლემები. [48]

ორგანიზაციის ბედი განვითარდა დრამატულად, როცა სიმონსმა მიიღო, ზემოთ აღნიშნული პროპაგანდის დეპარტამენტის მეთაურები, ედვარდ იანგ კლარკი და ელისაბეთ ტაილერი კლუბში. კლარკსა და ტაილერს ჩაბარდა „სამხრეთის საჯარო ასოციაცია" რომელიც კლანის პროპაგანდის დეპარტამენტი გახდა.ის ორიენტირებული იყო, წევრების მოზიდვასთან ერთად, სხვა ორგანიზაციის მიმდევართა გადმობირებაზე. ამიზნით დეპარტამენტმა შექმნა სპეციალური თანამდებობა - კლაგლესი. [49] წევრების მატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლანის ბიუჯეტისთვისაც, ყოველი რეკრუტი იხდიდა 10$ ს , ახალწვეულთა გადასახადების 80% მიდიოდა საკომისიოებსა და სხვადასხვა ხარჯებში, 20% კი ხმარდებოდა ატლანტას სათაო ოფისს. ახლად დანიშნული კლაგლესები გაგზავნეს ატლანტიდან - „100 პროცენტიანი ამერიკელი" - იდეოლოგიის გასავრცელებლად. 1921 წლის ზაფხულში დაახლოებით 200 კლაგლესი იყო

[47]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.20.

[48]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.21.

[49]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.8.

გაგზავნილი , მათ ევალებოდათ იდენთიფიკაციის საკითხებისა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბარი. 11-მა კლაგლესმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კლანში პროტესტანტების, სასულიერო პირებისა და საძმო ორგანიზაციების მოზიდვას. გავლენიან სასულიერო პირებს შესთავაზეს უფასო გაწევრიანება და პირობა მისცეს, რომ ყველანაირად დაეხმარებოდნენ პროტესტანტ ქრისტიანებს. სპეციალური მოსაწვევები დააგზავნეს მასონთა დაჯგუფებებში პატრიოტულ საზოგადოებებსა და საძმო გაერთიანებებში.

გაწვევის პროექტი აღმოჩნდა ძალზე მომგებიანი. 18 თვეში კლანი გაფართოვდა ჯორჯიისა და ალაბამას შტატებს მიღმაც. კლანი ფეხს იკიდებდა სამხრეთ დასავლეთით, შუა დასავლეთსა და დასავლეთ პერიფერიებში.[50]

1921 წლისთვის სიმონსი და კლარკი ამტკიცებდნენ რომ 3 თვეში ჰქონდათ 48,000 კაციანი მატება მთელი ქვეყნის მასშტაბით. 1921 წლის სექტემბერში გადაბირების შედეგად გაიზარდა ნიუ იორკის კლანიც. 18-მა მთავარმა გაზეთმა გამოაქვეყნა კლანის შესახებ სტატიები, მათი შეფასებით ორგანიზაციას ჰყავდა 500,000 წევრი ორმოცდახუთ შტატში. თუმცა გამოცემის მთავარი მიზანი იყო კლანის ბნელი მხარის გამოაშკარავება. გაზეთმა გამოაქვეყნა 152 ინციდენტის, ძალადობის შემთხვევა კლანის მხრიდან.[51]

კონგრესმა სიმონსი დაკითხვაზე დაიბარა, კომიტეტზე სიმონსი საუკეთესოდ წარდგა, მან დაარწმუნა კონგრესმენები რომ კლანს არ ჰქონდა კავშირი აღნიშნულ ფაქტებთან. თუ კლანი უკანონოდ ფართოვდება, როგორც მას აბრალებენ, მაშინ საიდან ჰყავს ორგანიზაციას ამდენი წევრი მაღალი სოციალური ფენებიდან.

ბრალდებულები ასევე დაადანაშაულეს ფულის მითვისებაში, მათი ლიდერების გამდიდრების მიზნით. სიმონსი კი ამტკიცებდა რომ ზედმეტი შემოსავლები გამოყოფილი იყო ისეთი ღირსეული მიზნებისთვის, როგორიცაა ლანიერის უნივერსიტეტის დაფინანსება.[52] დაკითხვის მსვლელობისას, როცა ორგანიზაციას საიდუმლო ზრახვებშიც

---

[50]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.25.

[51]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ. 108.

[52]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota

დასდეს ბრალი სიმონსმა კომიტეტს შეახსენა, რომ მათი სამაგიდო წიგნი კლორანი, სადაც ყველაფერი დეტალურად იყო განხილული ფიცისა და რიტუალების შესახებ, ინახებოდა საჯაროდ, კონგრესის ბიბლიოთეკაში. სიმონსმა ასევე უარყო კლანის მუქარა შავკანიანებისადმი, შეუმწყნარებლობა რელიგიისადმი „თუ კლანში საიდუმლო წევრები არიან ანტიკათოლიკეები, ანტისემიტები და სეგრეგატორები, ჩვენ არ გვჭირდება მსგავსი წევრები“.[53]

კონგრესმა არ გააგრძელა გამოძიება და კლანმა ისარგებლა, საკუთარი სტატუსით ნიუ იორკში კონგრესთან დაახლოების წყალობით. ამერიკელთა უმეტესობა, მითუფრო სამხრეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი არ იყვნენ ინფორმირებულნი სანამ კონგრესმა არ მიაქცია მეორე კლანს ყურადღება. მომდევნო 5 თვეში 200 შტაბი დააარსდა და სრულ წევრთა რაოდენობა თითქმის მილიონობდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა რომ სიმონსის ბატონობის ქვეშ მყოფი კლანი წინ და წინ მიიწევდა, მას აკლდა მიზან დასახულობა და მიმართულება, რათა პოტენციურ პოლიტიკურ ძალად მოგვვლინებოდა. სირთულეების მიუხედავად, 1922 წლის 1იანვრის მონაცემებით, ორგანიზაცია მოიცავდა 1500 განყოფილებას.საერთო კლანსმენთა რაოდენობა აღემატებოდა 100,000 ადამიანს.[54] ყოველდღიურად ათასობით ადამიანი უერთდებოდა კლანს. საინტერესო იყო რეკრუტირების წესი, რომელიც 60 დღის განმავლობაში კანდიდატის საქმიანობის დაწვრილებით შესწავლას გულისხმობდა. 45 შტატში მოქმედებდა 600-მდე ქვეგანყოფილება. მთელი შტატები დაყოფილი იყო 9 „დომენად“ რომელსაც ხელმძღვანელობდა „დიდი გობლინი“ და გადანაწილებული იყო, ბოსტონის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ლოს ანჯელესის, ფილადელფიის, სანტლუისის, ატლანტისა და ჰიუსტონის შტატებში.[55]

მიუხედავად იმისა რომ სიმონსი ნიჭიერი და პრაგმატული ხელმძღვანელი იყო, მან დიდი შეცდომა დაუშვა. სიმონსის გამოსვლა მთვრალ მდგომარეობაში , ეს იყო შემაშფოთებელი კლანის წარმომადგენლებისთვის. მისმა გამოსვლამ გააღიზიანა

Press, 2009.გვ.25.

[53]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.68.

[54]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.70.

[55]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.70.

როგორც მშრალი კანონის, ქრისტიანული მორალის დამცველები, ისე სასმლისა და სექსუალური უწესრიგობის საკიხთა შემსწავლელები.ამან დააზარალაკლარკისა და ტაილერის პროპაგანდის დეპარტამენტი. [56] 1922 წლის ნოემბერში რამდენიმე უკმაყოფილო კლანსმენის ინიციატივით მოეწყო გადატრიალება, კ.ვ. ევანსისა და დ.ს. სტეფენსონის თაოსნობით. წლიურ ეროვნულ კონვენციიაში აღინიშნა, რომ სიმონსი იყო კარგი ლიდერი, თუმცა არა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კლანისთვის.[57]

როგორც შეთქმულების მონაწილეები, სტეფენსონი და ევანსი იყვნენ შეუპოვარი პოტენციური პოლიტიკური ძალა. შიდა ფრაქციალიზმი განაგრძობდა ორგანიზაციის მართვას, თუმცა მალე სიმონსმაც გააანალიზა, რომ ის იქცეოდა შეუსაბამოდ, ატლანტაში ქონება მიითვისა ძალით, როცა ევანსი იყო ქალაქიდან გასული. საბოლოო ჯამში , ევანსმა შეუპოვრობით შეინარჩუნა იმპერიის „დიდი მაგის“ პოზიცია, მაგრამ რიტუალები, რეგალიები და კლანის წესები, ნიშნების უმეტესობა გადმოღებული იყო სიმონსისგან.

სიმონსმა მიიღო კომპენსაცია 146,000 $ და გაძევებულ იქნა კლანიდან, 1924 წლის იანვარში. ამას მოჰყვა სხვა წევრების დაკარგვა, რადგან იყვნენ სიმონსისტები, თუმცა მატება გაცილებით აღემატებოდა განდგომილთა რაოდენობას. [58] ორგანიზაციის გაფართოება გრძელდებოდა , პირველრიგში დაგეგმილ ტერიტორიებზე მოძრაობის მომხრეების გაფართოება ხდებოდა სამხრეთ და შუა დასავლეთ შტატებში. კლანის აქტივობები ასევე გაიზარდა ევანსის ხელმძღვანელობით.

კლანელები წერდნენ რომ ჰქონდათ იდეალური ფინანსური მდგომარეობა, მთავარი მიზანი იყო წევრების მატება, მართლაც ამჟამინდელი მდგომარეობა არღვევდა წინა წლის ყველანაირ რეკორდს. წევრებისა და აქტივობების გაზრდაზე ფოკუსირებული იყო ევანსის დღის წესრიგი. მატება ხდებოდა სამხედროებისა და ქალების ხარჯზე ახლად მინიჭებული ხმის უფლება გამოყენებული იქნებოდა მოძრაობის პოლიტიკაში.[59]

---

[56]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.23.

[57]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.24.

[58]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ. 183.

[59]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.76.

ევანსი სიმონსისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას უთმობდა ქალებს, ორგანიზაციაში მან დააარსა ქალთა კუ კლუქს კლანი- 1923 წელს. აქ თავიდან შევიდა პროტესტანტების ორგანიზაცია,რომელიც დაკომპლექტებული იყო ქალებით. თავიდან 125,000 წევრი, 3 წელში გაიზარდა 250,000-მდე. მატების კულმინაციის ზღვარზე 3 მილიონამდე ქალი მოგვევლინა კლანის წევრად.[60]

დიდი გარდატეხა მოახდინა 1923 წლის 4 ივლისმა, როდესაც ათასობით კაცი, ქალი და ბავშვი გაიქცა შტატების ცენტრიდან გარეუბან კოკომოში, ინდიანაში. ერთი დღისთვის სამყოფი საკვებით, გასართობი საშუალებებით, მუსიკის ჰანგებითა და ფოიერვერკებით. მარშირებული ამერიკელების პატრიოტული სულისკვეთების დემონსტრირება, შეიძლება ვუწოდოთ ამ დღეს. ზუსტად არ ვიცით, თუმც კი, სხვადასხვა ცნობებით მარშირებაში ჩართული იყო 10,000-იდან 200,000-მდეადამიანი.[61] ერთი რამ ნათელია, ბრბო იყო უჩვეულოდ დიდი. კოკომოში ხალხი მიდიოდა მეზობელი ოჰაიოს, მიჩიგანის, ილინოისისა და კენტუკის შტატებიდან. ზოგიერთი იმ რისკზეც კი წავიდა რომ ისეთი მანძილიდან გაემგზავრა როგორიც იყო ატლანტა, ჯორჯია.[62]

ეს არ იყო ჩვეულებრივი ივლისის ოთხი, როცა მოქალაქეები დამოუკიდებლობის დღეს აღნიშავნდნენ. მათ ჰქონდათ სხვა საზეიმო მიზეზიც. წარმომადგენლობა იყო ინდიანას 92-ივე სოფლიდან, რათა მიეღოთ უფლება ოფიციალურად გამოეცხადებინათ ორგანიზაციის არსებობდა, რომელიც ფართოვდებოდა და დიდი ამბიციებით მიილტვოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებისკენ. კლანს მიუძღვოდა ჰირამ ევანსი რომელიც მიმართავდა შეკრებილებს:

„წმინდა პროგრესული ამერიკული პრინციპები გვაძლევს დიდი წარმატების შანსს. დამოუკიდებლობის დღე, ეს არის ხელსაყრელი თარიღი, რათა ინდიანას კლანმა დააარსოს ოფიციალური შტატის ორგანიზაცია. გამორჩეული სტატუსის არსებობა,

---

[60]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.76.

[61]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.1.

[62]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.2.

სრულიად ოპერატიული ერთეულები, უხილავი იმპერიისა შეუტევს კლანის ამოცანებს მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით ვიდრე წარსულში".

საზეიმო ღონისძიებებისას სტეფენსონი იყო დანიშნული როგორც ,,დიდი დრაკონი" ინდიანას შტატიდან. იგი ასევე აკონტროლებდა 23 ჩრდილოეთის შტატის კლანს. ეს არ იყო მცირე პატივი, რადგან კლანი სწრაფად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. ის განსაკუთრებით ძლიერი იყო ინდიანაში, ოჰაიოში, პენსილვანიაში, ილინოისსა და რამდენიმე სხვა ჩრდილოეთის შტატში. [63]

შესავლის შემდეგ იმპერიის მეთაურმა სტეფენსონმა აგრეთვე ისაუბრა კლანის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკური როლის შესახებ, იგი მოითხოვდა კანონიერების აღდგენასა და „კონსტიტუციაში დაბრუნებას".სტეფენსონი სიტყვითგამოვიდა და გააკრიტიკა არსებული პოლიტიკური ცხოვრების წესი. მან შტატები როგორც ღვთისგან ნაწყალობელი ერი, ისე მოიხსენია და საზოგადოებას მოუწოდა გააქტიურებისკენ, რათა ქვეყანამ დაიბრუნოს პირვანდელი რესპუბლიკის სახე. ახლად დანიშნული დიდი დრაკონის აზრით ამერიკის გამორჩეულობა ფესვგადგმული იყო ანგლო-საქსურ სამყაროში. პატრიოტიზმის ამაღლება, სიამაყით მემკვიდრეობის დაცვა და თვითგამორკვევა, ეს იყო რასაც მოითხოვდა სტეფენსონი.[64]

აღლუმი კოკომოში საღამომდე გაგრძელდა, მწერალი რობერტ კოგლინი რომელიც აქ გაიზარდა, იხსენებდა:

„30 ორკესტრის სახეობა იყო, მაგრამ კლანის წესების თანახმად ხმამაღალი მუსიკა არ ჟღერდა, მხოლოდ დრამის მინორული მელოდია ჟღერდა. ის გაისმოდა ნელა მძიმე მარშის ტემპით.მარშის მონაწილეები სეირნობდნენ ცხენებით,ანათებდნენ გროტესკებით და აშარჟებდნენ მოჩვენებებს ქუჩებში. კლანსმენები მოკაზმულნი იყვნენ სხვადასხვაგვარად, ძირითადად თეთრი ზეწრების მსგავსი მანტიებითა და ქუდებით. გზებს ჩირაღდნებით ანათებდნენ". [65]

---

[63]**David.** Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement, 2003.გვ.106.

[64]**Lutholtz, William M.** Grand Dragon: D. C. Stephenson and the Ku Klux Klan in Indiana. West Lafayette, Ind.: Purdue University Press, 1991.გვ.71.

[65]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota

1920 იანებში კლანის მთავარი მოთხოვნა იყო "100% იანი ამერიკელობა", თეთრკანიანთა გაერთიანება მკვიდრ პროტესტანტებთან. კათოლიციზმი კლანის აზრით იყო შეუთავსებელი ამერიკულ დემოკრატიისთვის. ინდიანასა და სხვა პერიფერიებშიც, კათოლიკე ვაჭრებს ხშირად იმორჩილებდნენ კლანის ფინანსური ზეწოლის შედეგად. კოკომოში კლანელები ხშირად ემუქრებოდნენ კათოლიკეებს, რომ მათ შეექმნებოდათ სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური საფრთხე.

1925 წლისთვის კლანის დოკუმენტები დაიბეჭდა ჟურნალში,"The New York Times“ (ნიუ იორკ თაიმსი),მის მიხედვით 89 წევრი იყო ინდიანას 92 სოფლიდან. 3,998კლანის წევრი იყო ჰოვორდის სოფლებიდან, სხვა სიტყვებით დაახლოებით მამაკაცების 28% სოფლის მკვიდრი გახლდათ კლანელი. გაზეთი ასევე ეხება კლანს ქალთა განყოფილებას- WKKK.[66] აქ გაწევრიანება შედარებით რთული იყო, თუმცა დროთა განმავლობაში დაიხვეწა და გაფართოვდა რაზეც მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას.

აღსანიშნავია რომ სტეფენსონმა მის გამოსვლაში თავი შეიკავა რაიმე ადგილობრივი მუქარის შესახებ საუბრისგან, რომელიც მომდინარეობდა შავკანიანების, კათოლიკეებისა და ემიგრანტების მხრიდან. სავარაუდოდ ეს გამოიწვია დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულმა მიმართვამ, რადგან აქ საზოგადოების დიდი ნაწილი სულაც არ იყო ადგილობრივი. კლანის წევრთა დიაგნოზები, თანამედროვე ეროვნული პრობლემების შესახებ, მხურვალედ იქნა გაზიარებული ბევრი ინდივიდის მიერ, ვინც შეუერთდა კლანს.

მეცნიერები, რომლებიც სწავლობდნენ ამ ორგანიზაციას სათანადოდ ვერ აფასებდნენ იმ გზებს, რის გამოც შეიცვალა ამერიკული საზოგადოების სტრუქტურა.სწორედ ამ ცვლილებამ გამოიწვია ადრეულ 1900-იანებში კუ კლუქს კლანის ფენომენალური ზრდა. 1920 იან წლებში კუ კლუქს კლანის გამოწვევა მიიღო ბევრმა ისტორიკოსმა, პოლიტიკოსმა თუ სოციოლოგმა. მართლაც, სოციოლოგი ჯონ მოფათ მეკლინი

Press, 2009.გვ.2.

[66]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.42.

გამოსცემს ძალიან საინტერესო ნაშრომს - „კუ კლუქს კლანი, სწავლება ამერიკული აზრის შესახებ".ორეგონის შტატის მდგომარეობის შესახებ იგი წერდა:

" ეს არის შტატი სადაც 85% ეროვნებით ამერიკელია. აქ არ არის რასობრივი პრობლემა. რელიგიური თვალსაზრისით უმრავლესობას წარმოადგენს პროტესტანტიზმი, კათოლიკე მხოლოდ 8-%ია. არ არსებობს რადიკალიზმი, მუქარა და ქვედა ფენების შევიწროება. აქვს პროგრესული კანონები და შესანიშნავი საგანმანათლებლო სისტემა, 2-%ზე ცოტაა წერა-კითხვის უცოდინარი. თუმცა ასეთ პერიფერიაშიც კი იგრძნობა, საიდუმლო "ფიცით შეკრული" ორგანიზაციის პოლიტიკური დომინირების პერსპექტივა.[67] *აღნიშნული, ქადაგებს რელიგიურ ფანატიზმს, რასობრივ შუღლსა და რაც მთავარია მის პოლიტიკურ ამბიციებს პროგრესირებადი ხასიათს დაკრავს."* საერთო ჯამში მეკლინი კლანს აფასებს როგორც „საშუალო კლასის ისტერიას."

როგორც ჩანს კლანის ლიდერებმა იცოდნენ, რომ მათი ორგანიზაციის რეკრუტირება ბევრ აუთსაიდერს ჩააგდებდა საგონებელში. მართლაც, კლანის ნაციონალურ გაზეთში, *"Imperial Night-Hawk" (იმპერიული ღამის ქორი)*ეძებენ ახსნას თუ რატომ აყვავდა კლანი ისეთ ადგილებში სადაც მოძრაობის მტრები (კათოლიკეები, ემიგრანტები, შავები, ებრაელები) გადმოსცემდნენ ძირითადი დომინანტი ჯგუფების ინტერესებს. მწერალი წერს:

„პირველ რიგში , უნდა გვახსოვდეს რომ კლანი არის ეროვნული ორგანიზაცია და აგვარებს ეროვნული მასშტაბის პრობლემებს, ისევე როგორც ადგილობრივ საკითხებს. გამომდინარე იქიდან რომ ყველა საზოგადოება სასიცოცხლოდ დაინტერესებული უნდა იყოს, ხალხის კეთილდღეობით. მთლიან ერს აქვს თავისი შესაფერისი პირობები, რასაც კლანი აგვარებს. სამართლიანად უნდა აღინიშნოს რომ არ არსებობს ადგილი სადაც არ სჭირდებათ ორგანიზაცია , რომელიც აგვარებს ეროვნულ პრობლემებს, ეძებს ცხოვრების

[67]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.182.

პირობების გაუმჯობესების გზებს. უმეტესობა ჩვენი პრობლემების არის ნაციონალური მასშტაბის და პირდაპირ ეხება ამერიკის ყველა საზოგადოებას “.[68]

რა იყო ეს ეროვნული საკითხები და საქმეები, რასთან დაკავშირებითაც კლანი დებდა პირობებს?! მართლა იყენებდა მოძრაობა საკუთარ ძალისხმევას, რათა გადაეჭრა ეროვნული დონის პრობლემები?! რა თქმა უნდა, არაგონივრული იქნება, რომ დავეყრდნოთ კლანის პროპაგანდას, იმისთვის რომ გავიგოთ მოძრაობის მიზანი და მოწოდება. კლანის ლიდერები აწყობდნენ განგაშს, რათა გაემძაფრებინათ ფაქტები. უფრო ზუსტად კი უხეშად ცვლიდნენ ფაქტებს თუ ის მათ ინტერესებს ხელს არ აძლევდა. ამის გაკეთებით ისინი ბევრ საკითხს აგვარებდნენ.

მოჰყავდათ ახალი წევრები და იყენებდნენ მათ „ჯიბეებს“ , როგორც საწევროს გადასახადს. კლანის ბიუჯეტი ასევე იზრდებოდა მანტიებისა და სხვადასხვა ატრიბუტების გაყიდვით.

მოძრაობის ადრეული კვლევებიაიგნორებდნენ კლანის ლიდერების როლს და მეტწილად საკუთარ ინტერპრეტაციებს გვთავაზობდნენ. ბოლო კვლევებმა, 1920 იანების კლანზე ბევრი მცდარი შეხედულება გამოაშკარავა„უხილავი იმპერიის“ შესახებ.

ამერიკელმა სოციოლოგმა, ქეთლინ ბიიმ,მაგალითად, დაწერა წიგნი „ქალთა კუ კლუქს კლანის შესახებ ინდიანაში“. მან რეკონსტრუქცია მოახდინა მოძრაობის შესახებ, ინტენსიური სიღრმისეული ინტერვიუებით, რომელიც ჩაწერა ორგანიზაციის გადარჩენილ წევრებთან. ამერიკელი ისტორიკოსის, ნენსი მაკლეინისკვლევა კლანის ფილიალის შეხაებ ჯორჯიაში, ათენში, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ ზრახვებისა და საკითხების ცენტრალიზებაზე. მაკლენის მტკიცებით საშუალო ფენების ჩართულობა ორგანიზაციაში, უპირველესად რესპუბლიკელებთან მათი იდეოლოგიური კავშირითაიხსნება. სხვადასხვა კვლევები ხაზს უსვამდნენ კლანის მსგავსებას პროგრესულ მთავრობასთან. კლანის პოპულისტური ხედვები და პროგრესული მიზნები ჩაქსოვილი

---

[68]**”Imperial Night Hawk.“** “Imperial Wizard Outlines Klan Objectives before Immense Gathering in Ohio,” July 18, 1923.

იყო მის მოწოდებასთან - თეთრკანიანთა უზენაესობასთან, ქსენოფობიურ და რელიგიურ ფანატიზმთან.[69]

ამ ყველაფრის მიუხედავად კლანის ბუნდოვანებამ 1920-იან წლების მიწურულს დაიწყო გაფანტვა და მაინც ბევრი მნიშვნელოვანი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.

კვლევათა უმეტესობა დაფუძნებულია კლანის აქტივობების მაგალითების შესწავლით, ცალკეულ საზოგადოებაში ან ცალკეულ რეგიონში. თუმცა კლანის ლიდერებს პრეტენზია ჰქონდათ, რომ იყვნენ ეროვნულ ორგანიზაციაში, რომელთა წევრებიც შეშფოთებულნი არიან ეროვნული საკითხებით, მიუხედავად იმისა რომ მსგავსი განცხადებები სკეფსის აღძრავს, მაინც იმსახურებს ზედმიწევნით გამოკვლევას. რატომ გაიზარდა მოძრაობა ასე სწრაფად 1920 იანებში?! რაიყო ისეთი ორგანიზაციაში რამაც ამ დოზით რეკრუტირება გამოიწვია განსხვავებულ პერიფერიებში? შესაძლოა ეს დიდად განაპირობა იმ ახლებურმა მეთოდებმა რომლებსაც კლანი სთავაზობდა საზოგადოებას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრუქტურულ საკითხებში, თუმც კი უპირველესად პროპაგანდის წარმატება ნახევრად ძალდატანებით ნაწილობრივ კი ფსიქოლოგიური ზეწოლით იყო გამოწვეული. თავსმოხვეული მოძრაობის მოცულობის სწრაფი ზრდა და შემდეგში სწრაფი შემცირება სწორედ ამ პირობებმა განაპირობა.

2.2 კუ კლუქს კლანი ინდუსტრიალიზაციის პირობებში

1924 წლისთვის კლანმა მოახერხა ჰყოლოდა უფრო მეტი მიმდევარი ქვეყნის მასშტაბით, ვიდრე ამერიკის შრომით ფედერაციას. მიუხედავად ამისა, ამერიკელთა უმრავლესობას, მათ შორის მეცნიერებს, ჰქონდათ ძალიან მცირე ან საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია ორგანიზაციის ზომისა და ფარგლების შესახებ 1920-იან წლებში. ისინი გაკვირვებულებიც

[69] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.106.

იყვნენ , რადგან მოძრაობა გამოირჩეოდა ძლიერი მხარდაჭერით ჩრდილოეთ შტატებში, ინდიანაში, ოჰაიოსა და ილინოისში, იმდენად რომ უსწრებდა ღრმა სამხრეთსაც.

კუ კლუქს კლანის აღმასვლა დაემთხვა ძირეულ ცვლილებებს ამერიკული საზოგადოების სოციალურ ურთიერთობებში. კლანის ლიდერებმა ამ ცვლილებების ინტერპრეტაციები განავითარეს იმ განზრახვით, რომ მოეზიდათ წევრები და მიმდევრები ორგანიზაციისთვის.

სოციალური მოძრაობის თეორიებიდან ყველაზე ცნობილი „რესურსების მობილიზაციის თეორია“ და „პოლიტიკური შესაძლებლობების თეორია“ძირითადად შექმნილი იყო სხვადასხვა სოციალური მოძრაობების იდეოლოგიაში.[70]ისინი მიზნად ისახავდნენ დაბალი ფენების ჩართვას კოლექტიურ და სოციალურ ცვლილებებში. ასეთი ორგანიზაციები მიმართული იყო დაეცვათ, აღედგინათ და გაეფართოვებინათ საკუთარი საერთო პრივილეგიები.

კუ კლუქს კლანის მოდელი დაკავშირებული იყო ნათესაურ-ეთნიკურ და რასისტულ უთანასწორობასთან. ,,ეთნიკური კონკურენციის'' თეორიის თანახმად კონფლიქტი სავარაუდოა, როცა მკაფიო ჯგუფები მჭიდრო მეტოქეობას გრძნობენ სამასხურსა თუ სხვა სფეროებში.

1920 იანებში კლანის ლიდერებმა წარმოადგინეს თეთრი პრივილეგიის თეორია, ჯორჯ ლიფსტიზის თქმით :

კუ კლუქს კლანის შესწავლა არამხოლოდ დაგვეხმარება ცოდნის მიღებაში, არამედ ფასდაუდებელ გამოცდილებას მივიღებთ თანამედროვე რეალობაში წარმოვიდგინოთ აღნიშნული პრობლემები და განვჭვრიტოთ და გადავწყვიტოთ პოტენციური მსგავსი საკითხები.[71]

ძალაუფლების დევალვაციის მიხედვით ცვლილებები სოციალური ურთიერთობების სტრუქტურაში შეიძლება,გამოიხატოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იერარქიულ

[70]**Moore, Barrington.**Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasantin the Making of the Modern World,Boston: Beacon Press, 1966.გვ.209.

[71]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.9.

საკითხებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის. ამ დევალვაციამშეიძლება ხელი შეუწყოს მემარჯვენე ფრთის მომხრეებს.ამ თავში კი საუბარი იქნება ეკონომიკურ გავლენებზე რომელშიც კლანსმენები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, 1920 იანი წლების ამერიკაში.

ხშირად მეცნიერები სათანადოდ არ აფასებენ კლანის როლს ეკონომიკაში, თუმცა ეს საკმაოდ დიდი დოზით იგრძნობოდა იმ დროის შტატებში. ეკონომიკა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია იმ მრავალთაგანიდან, რომელიც პირდაპირპროპორციულია კლანის ზრდასა და განვითარებასთან. მოძრაობის ლიდერები დიდ ყურადღებას აქცევდნენ რასის, რელიიგიისა და შობადობის საკითხებს, თუმცა ამ ყველაფერთან თანხვედრაში მოდის სოციალური პრობლემები რამაც გამოიწვია ყურადღების გამახვილება ეკონომიკაზე.

კლანსმენები ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი არ ემხრობოდნენ პოლიტიკას , რომელშიც რომელიმე ეკონომიკურად გამორჩეული კლასის წარმომადგენელიგანსაკუთრებულის სტატუსით სარგებლობს. მართლაც ისინი მუდმივად ამტკიცებდნენ რომ კლასობრივი დაყოფა იყო საშიში ამერიკელთა საზოგადოებისთვის. მათი მტკიცებით ფენების გამიჯვნა ხელს შეუშლის საერთო ეროვნულ ინტერესებს. „კლანსმენების კრედო“ შეიცავს ქცევის მრწამსს, რომელიც მჭიდრო კავშირებს ამყარებს მშრომელთა და კაპისტალიტებს შორის. ეს ლოგიკა მიმართულია უცხოელი მშრომელების წინააღმდეგ, რათა არ მოხდეს აგიტატორობა მათი მხრიდან.

კაპიტალიზმის კონსოლიდაცია და მშრომელთა საქმიანობის ხელშეწყობა, 1920 იანების პირველ დეკადაში შეფასებულია, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის პერიოდი. საყურადღებოა, რომ სწორედ ეს პერიოდი უძღვოდა წინ დიდ დეპრესიას, რის გამოცე.წ ,,Prosperity” ანუ კეთილდღეობის ხანა არაერთგვაროვნად შეაფასეს.

ეკონომიკური გაჭირვება და გაურკვევლობა მრავალი ამერიკელი მეცნიერის კვლევის საგნად იქცა. ინდიანას შტატში, მანსის „მიდლთაუნში“ მოსახლეობა განსაკუთრებით დაინტერესდა კლანში გაწევრიანებით. ეს უმთავრესად განპირობებული იყო მათი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით. როგორც კოკომოს სიახლოვეს, მანსი თავს უყრიდა კლანის წევრებს, 1920

იანების დასაწყისში. თუმცაკლანში გაწევრიანებულთა სიის მიხედვით იქ იყვნენ ინდიანას მკვიდრი თეთრკანიანი მამაკაცების 27-%. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგები, რობერტ და ჰელენ ლინდსები სოციოლოგიური კვლევის შუალედში: „ამერიკული კულტურის შესწავლა“ იკვლევდნენ ამერიკელთა სოციალურ მდგომარეობას. როგორცლინდსები აღწერს დაიწყო რა ,,მიდლთაუნიდან“ ტორნადოს მსგავსად იწოვდა ყველაფერს გარშემო კლანის დაფარული განზრახვებით, რომელიც ასახავდა ძირითად მიზანს: ,,გაეწმინდათ ქალაქი“.[72]

იმის მიუხედავად, რომ ლინდსი ხაზს უსვამს მშრომელთა კლასის ჩართულობასკლანის ორგანიზაციაში მანსში, მკვლევარები მშრომელთაკლასის სტატუსს განსაზღვრავენ ძალიან ფართო გაგებით. მუშათა კლასი განისაზღვრება როგორც, ინდივიდი, რომლესაც მიმართული აქვს თავისი ძალისხმევა მიიღოს სასურველი შედეგები,ცხოვრებაში მატერიალური რესურსის გამოყენებით. ეს განმარტება მოიცავს კვალიფიციურ მუშებს, სახალხო რეწვის ოსტატებს, რომლებიც ჩართული არიან საერთო შრომაში და ასევე ფლობენ საწარმოო საშუალებებს (მაგალითად, ხელსაწყოებს, და პატარა მაღაზიებს).

ამ პერიოდში,სოციალური ურთიერთობები უფრო და უფრო მეტად ხდებოდა შეზღუდული სხვადასხვა კლასების მიერ. კლასობრივი დანაწევრების ზრდას თან ახლდა სწრაფი და აქტიური ცვლილებები, ქალაქის სამუშაობის დაგეგმვა - ორგანიზებაში.

ქალები იწყებდნენ მშრომელთა რიგებში ადგილების დამკვიდრებას, უპრეცენდენტო შემთხვევა იყო, როცა მრავალი მათგანი ადგილს იკავებდა სხვადასხვა საწარმოში.

საწარმოების მფლობელები თავად გახდნენ ცვლილებებზე დამოკიდებულნი. წარმოება, რომელიც დამოკიდებული იყო ოსტატი-შეგირდის სისტემაზე გზა დაუთმო მეთოდს, სადაც ერთობლივად ჩართული იყო დანადგარები, მუშათა ჯგუფები და სანახევროდ მზა პროდუქტები. როგორც მანსის დანადგარების მაღაზიის ზედამხედველი აღწერდა : *,,ჩვენი სამუშაო ძალის 75 % შეგვიძლია წამოვიყვანოთ პირდაპირ ფერმიდან ან სკოლიდან და გადავამზადოთ ერთ კვირაში“.* მანსის მუშათაჯგუფები გახდნენ ყველაზე მოწყვლადი

[72]**Moore, Barrington.**Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasantin the Making of the Modern World,Boston: Beacon Press, 1966.გვ.220.

ჯგუფი ამ ცვლილებებისა და მერყეობის გამო, 1924 წლის პირველ ექვს თვეში, მომუშავე მამაკაცების 62%- ს, შეუჩერეს თანამშრომლის სტატუსი.

ლინდსმა კვლევისთვის აირჩია მანსი, ვინაიდან ის იყო ყველაფრის გზის გასაყარზე, ამას გარდა ის იყო შესაფერისი ქეისი თანამედროვე ამერიკის ცხოვრების შესწავლისთვის.

ადრეულ 1900-იანებში მომხდარი ეკონომიკური ცვლილებები იყო საფუძველი შემდომი ინდუზტრიალიზაციისთვის. ინდუსტრიული რევოლუცია ამერიკაში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე დაიწყო. მიუხედავად იმისა რომ ინდუსტრიალიზაციამ ინდუსტრიული ელიტისთვის შესაფერისი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები შექმნა, ბევრი ამერიკელი ნეგატიურ გარემოში აღმოჩნდა.

წინა თაობაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვიეს ღრმა დაძაბულობა და ფართოდ გავრცელებული სიღარიბე, დედები მიზერულ ანაზღაურებაზე შრომობდნენ სახიფათო გარემოში საათობით და ტოვებდნენ ოჯახებს, უფრო მეტიც, 12 წლის ბავშვები უკვე ფიზიკურად მუშაობდნენ, ხშირი იყო მათ შორის ლეტალური ინცინდენტები, ხელის დაკარგვები დანადგარებზე და სხვ. ასეთმა პირობებმა ხელი შეუწყო პროგრესული მოძრაობის განვითარებას 1900 წელს. „პროგრესივიზმის“ ბანერი მრავალფეროვან რეფორმას მოიცავდა, რომელიც ინიცირებული იყო სხვადასხვა ჯგუფების მიერ და ძირითადად საკმაოდ წინააღმდეგობრივ მიზნებს ემსახურებოდა.

,,პროგრესივისტები''ოპოზიციას ჩაუდგნენ სათავეში და წინააღმდეგობა გამოხატეს მსხვილი ბიზნესისა და ტარიფთა დამცველების მიმართ. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ აგრეთვე ურბანულ პოლიტიკას, განსაკუთრებით დანადგარების, წარმოების მიმართ, ვინაიდან ამან გამოიწვია გადასახადების ზრდა. ყურადღებას ამახვილებდნენ ღარიბი და დაბალი კლასის იმიგრანტების ფენაზე, ვინც მათი თქმით იყვნენ ,,ბოსების'' ძირითადი ელექტორატი და ამომრჩეველი.

სამრეწველო წარმოება მკვეთრად იზრდებოდა წლების განმავლობაში, რისი თანმხლები მოვლენა იყო კლანის ძლევამოსილების გაფართოება. მიუხედავად იმისა რომ, კვალიფიციური შრომა ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობდა ინდუსტრიულ წარმოებაში, მრეწველები უფროდაუფრო მეტად ეყრდნობოდნენ არაკვალიფიციურ შრომას, სარგებლის გამორჩენის მიზნით. ის უფროდაუფრო ნაკლებად მოთხოვნადი ხდებოდა

რადგან გაიზარდა დიდ ქარხნებში გამოუცდელი მუშების დასაქმების რიცხვი, რაც ხელსაყრელი იყო დამსაქმებლისთვის დაბალი ანაზღაურების გამო. აშშ-ის აღწერის მონაცემების თანახმად სამრეწველო დაწესებულებების რაოდენობა, რომელთა შემოსავალმა 1 მილიონ დოლარს გადააჭარბა, 1914 წელს 3,819 იყო, ხოლო 1925 წელს უკვე 10,583. 1914 წელს აღნიშნული მსხვილი დაწესებულებებს ამერიკის სამრეწველო თანამშრომლების თითქმის 35-% ჰყავდა დასაქმებული, 1925 წლისთვის ეს რიცხვი 57%-მდე გაიზარდა.[73]

სამრეწველო განვითარებამ გავლენა მოახდინა როგორც ეკომონიკაზე, აგრეთვე კულტურაზე. კვალიფიციური მუშახელი და მცირე მეწარმეები ძირითადად იყვნენ ის ამერიკელი თეთრი პროტესტანტი მკვიდრები, რომელთა წინაპრებიც აშშ-ში ჩამოსახლდნენ ჩრდილო და დასავლეთ ევროპიდან. სტრუქტურულმა ცვლილებებმა 1900 იანებში გამოიწვია ამ აქტორების ჩანაცვლება, საწარმოებმა დაიწყეს შევსება არაკვალიფიციური იაფი მუშახელით, აქედან გამომდინარე იმიგრანტები მათთვის იყვნენ ძლიერი სამუშაო ძალა. იმიგრაციის პირველი ტალღის შემდეგ სწორედ 1920-იან წლებში წარმოიშვა ახალი ტალღა და წინა ტალღისგან განსხვავებით ამერიკაში უკვე ჩადიოდნენ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპული ქვეყნების ერების წარმომადგენლები. ინგლისური არ იყო მათი მშობლიური ენა და უმეტესად იყვნენ იუდეველები ან კათოლიკეები ნაცვლად პროტესტანტებისა. 1920იან წლებში კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშახელი რეალურად დაიყო ეთნიკური და რელიგიური ნიშნის მიხედვით.

1920 იანებში იმიგრაცია არ იყო იაფი მუშახელის შევსების ერთადერთი წყარო. საწარმოები შეივსო ქალებით, რომელთა რაოდენობაც 1900 წლისთვის იყო 5.3 მილიონიდან და 1920 წელს უკვე 8.6 მილიონამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში შეინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა , სამხრეთიდან, ფერადკანიანების ჩამოყვანისა.[74]

---

[73]**Moore, Barrington.**Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasantin the Making of the Modern World,Boston: Beacon Press, 1966.გვ.221.

[74]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.57.

1920-იანებში კლანი გააიგივეს ახალ ევროპულ ფაშისტურ მიმდინარეობასთან რომელიც ამ პერიოდში წარმოიშვა. ორგანიზაციის დასაქმების სტრატეგია იყო ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენა, იძულებითა და დაშინებით, თავსმოხვევა „100% ამერიკელთა“ თეორიის, რომელიც ამსხვრევდა ყველანაირ კლასობრივ ბარიერს.

კლანის ლიდერები განიხილავდნენ ფართო საკითხებს, ამ პერიოდის პრობლემებს, მათ გამოცემებში. კლანის „დიდი მაგი“ ჰირამ ევანსი ხშირად ხაზს უსვამადა რომ ამერიკელები უნდა გაუმკლავდნენ სოციალურ დანაწევრებას და ერთობლივი ძალებითა და ეკონომიკური ცვლილებებით ქვეყანა უნდა დააყენონ სწორ გზაზე.

„მას შემდეგ რაც უფალმა თქვა 6 დღეს შრომა და მეშვიდე დღეს დასვენება, ყველას აქცენტი გამახვილდა ამ ღვთაებრივ კანონზე. ჩვენ შევქმენით "The Sabbath" (შაბათი) წმინდა დღე, როცა ღმერთმა შექმნა სამყარო, წინა ექვსი დღის შრომის, შრომის, შრომის, შრომის, შრომის და შრომის საფუძველზე, არა უფლებამოსილებით არამედ საკუთარი გულით, ხელებითა და ფეხებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა გათვალისწინებული ბუნების კანონები, როგორიცაა ჯანმრთელობა და ბედნიერება,უსაფრთხოება და სარწმუნოება. ერის თავდადებისა საპირისპიროდ ყოველთვის იდგა ეშმაკის წყევლა, რომელიც შესაძლოა არასდროს გაუქმდეს. მონობის ინსტიტუტი და მისი რასობრივი შედეგები ალბათ დარჩება, სანამ რესპუბლიკა იარსებებს. შემდეგ რამდენიმე არაქრისტიანის საპასუხოდ, შემოქმედებითი მუშაობის წესისამებრ ჩვენ დავაწესეთ მომსახურეობა. ლოგიკურად გარდაუვალია მეტად თანამედროვე და შრომატევადი იაფი შრომის იდეა. მფლობელი და მონა, უფროსი და მსახური კაცი, მაგნატი და მსახური,ეს არის ეროვნული ტენდენცია რომლის შეცვლაც ჩვენ არ შეგვიძლია. სინამდვილეში ძველი ემიგრაცია ალბათ უფრო უდანაშაულოა ვიდრე მკვიდრი გვარი. მაგრამ ეს ძირიანად უკავშირდება ჩვენს თანამედროვე ემიგრაციულ პრობლემას. ჰუმანურობა გახდა მოხმარების საგანი (საქონელი). ინდუსტრიის აგება ხდება იაფ შრომაზე“[75]

---

[75]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.109.

ევანსის ეკონომიკური გავლენების რესპუბლიკის იდეოლოგიური მიმოხილვა, და ჯეფერსონისეული იდეალები ასახავდნენ ფართო და ღრმა აღიარებას გამოცდილი,მუშების, ფერმერებისა და სხვა საშუალო კლასისა 1900-იანების ამერიკაში. რესპუბლიკურმა იდეოლოგიამ ხაზი გაუსვა ინდივიდუალური ავტონომიის მნიშვნელობას დამხამრე დემოკრატიულ ინსტიტუტებში. ამ აზრის მიხედვით, ერი მონაწილეობას უნდა იღებდეს პოლიტიკურ ინტერესებში , მანამ სანამ განიხილავენ რა არის ერის უპირველესი ინტერესი, როგორც მთელი ერისა და არა კონკრეტული პიროვნების ინტერესი. ამისათვის მოქალაქეები უნდა იყვნენ გათავისუფლებნული ძალადობისგან და არ უნდა იყვნენ დამოკიდებული დამქირავებლებზე, მეუღლეებსა და რელიგიურ ორგანოებზე ან ნებისმიერ რამეზე, რაც ფარგლებში მოაქცევს მათ ავტონომიას. ევანსი დასტირის ადამიანური შრომის საქონლად გარდაქმნას და განსაკუთრებით ადანაშაულებს ინდუსტრიულ ელიტას, „ინდუსტრიის ლორდებს“ ვინაიდან მათი პრიორიტეტია მოგება რესპუბლიკის ხარჯზე. კლანის „იმპერიულმა მაგმა“ დაგმო მონობა და ამტკიცებდა, რომ სისტემაზე აირეკლა „არაქრისტიანული შემოქმედებითი მუშაობის შიში“.[76] ზოგადად ევანსის აზრით ეკონომიკური პრობლემები რუტინულად იზრდებოდა არაკვალიფიციური შრომის ნდობითა და უმიზნო სარგებლის დევნაში.

კლანის წევრთა უმრავლესობა არ მიეკუთვნებოდა არც, ღარიბთა და არც მდიდართა ფენას. ცნობილია, რომ ეკონომიკური ცვლილებები სათავეს იღებს 1900-იანების დასაწყისში, როცა დაიწყო ამერიკელთა საზოგადოებაში სიმდიდრის გადანაწილება და მათ მოუწიათ ორგანიზება, რათა შეენარჩუნებინათ პრივილეგიები და ადრინდელი უპირატესობა. პროდუქციის წარმოება და სასოფოლო სამეურნეო რეცესიის რაციონალიზაცია, პირდაპირ გავლენას ახდენს მცირე მასშტაბის ფერმერებზე, მწარმოებლებსა და გამოცდილ მუშებზე. აღნიშნული ცვლილებები ასევე ხელს უშლიდა ურთიერთობას ვაჭრებსა და მომსახურე პერსონალს, ვისი ბედიც დამოკიდებული იყო ადგილობრივ ეკონომიკასა და მათი კლიენტების, მომხმარებლების ეკონომიკურ

[76]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.115.

კეთილდღეობაზე. კლანის რეკრუტირების საქმეში აღნიშნული ეკონომიკური სიძნელეები სწორად იქნა გამოყენებული მოძრაობის გაზრდისა და კოლექტიურობის გამტკიცების მიზნით. რამდენიმე წელიწადში კლანი პატარა ორგანიზაციიდან, რომელიც მოიცავდა მხოლოდ ორ სამხრეთულ შტატს გარდაიქმნა მასობრივ მოძრაობად, რომელიც დაკავშირებული იყო ორმოცდარვა შტატთან დააერთიანებდა მილიონობით წევრს. ამ უკანასკნელს გააჩნდა საკუთარი სათაოოფისი, შემოსავლები საკუთარი მანტიები და სხვადასხვა აქსესუარები.

მოძრაობის ლიდერები დახმარებას ჰპირდებოდნენ სოციალურ ფენებს, მთავარი იყო ერთიანი რასა, ეთნოსი, რელიგია და მემკვიდრეობა. უფრო მნიშვნელოვანია საშუალო ფენის წარმომადგენელთა კეთილდღობა ვიდრე ქალაქში მცხოვრებთა ან განსაკუთრებული კლასების კეთილდღეობა.

მოძრაობის დისკუსიის ეკონომიკური გარემოებების თანახმად, კლანის ლიდერები ხშირად კათოლიკეებისა და ემიგრანტების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, როცა მათ წინაშე აშკარად იდგა პოლიტიკური პრობლემები. ფაქტი რომ კლანი ხშირად ფართოვდებოდა საზოგადოებებში, სადაც კათოლიკეები და ემიგრანტები ჭარბობდნენ, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მოძრაობის მატება, წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა დაბალ ფენაზე ფსიქოლოგიურმა გავლენამ.

თუ მოძრაობის მიერ გამოცხადებული პოლიტიკური მტრები არ ემუქრებიან რელური თანამეგობრობის საფრთხეს, ისინი ატარებდნენ სიმბოლურ ხასიათს. თუმცა 1920 იანებში, კლანისადმი მიმართვებში ვხედავთ ეთნიკურ, რელიგიურ ეროვნული მასშტაბის კონფლიქტებს, რომელიც კონკურენტული ეკონომიკური ინტერესებიდანაა გამოწვეული.[77] ჩვენი აზრით, სტატუსის ცვლილებები გამოწვეული იყო სასოფლო და პატარა ქალაქებში, ურბანული და კოსმოპოლიტური ღირებულებების გამოჩენით, რაც ხელს უწყობდა კლანის პოლიტიკურ მობილიზაციას.ბოლო დროის კვლევების, ამერიკელი ისტორიკოსის, რომბერგის ანალიზის მიხედვით კლანის აღზევება ოკლაჰომასა და კალიფორნიაში განაპირობა ქალაქში მცხოვრები ზედა და საშუალო

[77]**Rice, S.Arnold.** The Ku Klux Klan in American Politics, Public Affairs Press, 1962.გვ.72.

ფენების მიმხრობამ, ვიდრე უხეირო სასოფლო განათლებამ.[78] ზოგადად, კლანსმენთა პირდაპირი მოვალეობა იყო ძმური პროპაგანდა, ყველგან და ყოველთვის რეკრუტირებაზე ზრუნა, პროტესტანტული შეკრებები გადაბირების მიზნით, ეს ეხებოდა როგორც სოფელში ისე ქალაქში მცხოვრებ კლანსმენს. მიუხედავად იმისა რომ ქალაქსა და სოფლებში იდენტურად ხდებოდა წევრების მიზიდვა, დიქოტომია იგრძნობოდა ამ ორ მხარეს შორის, რაც ნამდვილად არ იყო ხელსაყრელი. უფრო სათანადო აქცენტი უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რომელიც უპირველესად დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობაზე ან სამრეწველო პროდუქციაზე. 1920 იანების დასაწყისში, დიდ ქალაქებშიც, რომლებიც ინდუსტრიული რეგიონებიდან მოშორებით იყო განლაგებული ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ კავშირებს სოფლის მეურნეობასთან და ეკონომიკასთან. ამერიკელი მკვლევარი სანდერსი აღწერს:

"ქალაქის როლი ცენტრალურ ნაწილებში იყო რადიკალურად განსხვავებული პერიფერიებისგან. მანუფაქტურული ზოლის არსებობა დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში, როგორც ფაბრიკების და მომუშავეთა ადგილი მხარს უჭერდა მანუფაქტურებს. მანუფაქტურულ ზოლში იყო და არის აგროკულტურა, მაგრამ ის დამოკიდებულია ინდუსტრიულ ქალაქებზე გონივრულად და არა საპირისპიროდ. ინდუსტრიული ქალაქების გარეთ არსებული რძის ნაწარმის, სატვირთო და მეფრინველეობის ფერმები პროდუქტით ამარაგებდნენ ქალაქში მცხოვრებლებს. სოფლის მეურნეობაში ,მოგებაზე ორიენტირებული პერიფერიები, ასევე მიმართული იყო სოფლის მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკური წინსვლისკენ. ქალაქების მთავარი დანიშნულება იყო მიეღო ფერმებისგან, რანჩოებისგან, შახტებისა და ტყეებისგან სასარგებლო წიაღისეული რასაც ბანკის დახმარებით საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებაში იყენებდა."[79]

ამ თვალთახედვით, კლანის პოლიტიკური შეტაკებების დროს, კათოლიკეებსა და ემიგრანტებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ამ ხედვით ეროვნულ პოლიტიკას

---

[78]**Mecklin , John Moffatt.** The Ku Klux Klan: A Study of the American Mind, Russell and Russell, 1963.გვ.58.

[79]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.88.

ჰქონდა ორი ძირეულად განსხვავებული მხარე ერთ ჭერქვეშ. ამერიკელი პროფესორი, კეთლინ შვარციმანიდამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ეს რამდენიმე გარემოება გახდა გამომწვევი პორტუგალიის პირველი რესპუბლიკისდაცემისა. ამეიკელი სოციოლოგი, ბარიტონ მური იგივე პრობლემებს (ინტენსიურ-სექციური, ეკონომიკურ-პოლიტიკურ კომფლიქტებს) მიიჩნევს ამერიკის სამოქალაქო ომის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად.[80] მურის თანახმად, არ არსებობდა რასობრივი კონფლიქტი სამხრეთ შტატების მონების სასოფლო ეკონომიკასა და ჩრდილოეთის ინდუსტრიულ ეკონომიკას შორის, უბრალოდ ვერ მოხერხდა ორი განსხვავებული ეკონომიკის თანაარსებობა ერთ ქვეყანაში.

სამოქალაქო ომის შემდეგ დასრულდა მონობაზე დამოკიდებული ეკონომიკა, მაგრამ სექტორული დაპირისპირება აგრძელებდა პოლიტიკური კონფლიქტის ფორმირებას ეროვნულ დონეზე. სამოქალაქო ომის მომდევნო წლებში, რამდენიმე სოციალური მოძრაობა ჩამოყალიბდა რომლებიც მიუთითებდნენ და ხაზს უსვამდნენ, მეურნეთა უკმაყოფილებებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია „კოოპერატიული საწარმოები ფერმერების ასოციაცია“ და „ფერმერების ალიანსი“. [81] ჩამოყალიბდა რა 1880-90 იან წლებში ფერმერების ასოციაციამ ხელი შეუწყო, ჩამოაყალიბა პლათფორმა, სადაც ფედელარული მთავრობა ხელს აწერდა გარანტიას, იძლეოდა ადგილობრივ ფერმერთა სისტემას და არეგულირებდა ბანკებს, სარკინიგზო გზებს, მწარმოებლებს. ფერმერების საჩივრის გამოხატულება შემდეგნაირი იყო: "მესამე ნაწილის გამოწვევებში პოპულისტების პარტიაში 1890 იანებში. სანამ ეს პარტია საპრეზიდენტო კანდიდატურის წაყენების დროს დამარცხდა, მათ ჰქონდათ გარკვეული წარმატებები. 7 ამერიკის სენატორი და 30 კონგრესმენი აირჩიეს 1896 წელს პოპულისტური და ვერცხლისფერი პარტიის წევრებიდან.[82](დემოკრატების ბანერის ქვეშ იღებდნენ მონაწილეობას)

---

[80]**Moore, Barrington.**Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasantin the Making of the Modern World,Boston: Beacon Press, 1966.გვ.181.

[81]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.137.

[82]**Rice, S.Arnold.** The Ku Klux Klan in American Politics, Public Affairs Press, 1962.გვ.18.

მალე პარტია დაიშალა დაპირისპირებულ ფრაქციებად და მათი დღის წესრიგის უმეტესი ნაწილი თანადაფინანსებულ, მოგებული იყო დემოკრატიული პარტიის მიერ. პოპულისტური პარტიის მხარდაჭერის შემოსაერთებლად, დემოკრატებმა გადმოიღეს სასოფლო პროტესტის რიტორიკა რომელმაც თავი მოიყარა მათ ახალ ფიგურაში, უილიამ ჯ.ბრაიანში. ბრაიანი და სხვა დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ ინდუსტრიულ ტარიფებს და ინფლაციურ მონეტარულ პოლიტიკას. დემოკრატიული პარტიის ახალმა აგრარულმა დღის წესრიგმა, ბევრი ინდუსტრიული სფეროს დასაქმებულის გადინება მოახდინა რესპუბლიკურ პარტიაში, იმ დასაქმებულების, ვისაც ეშინოდა საკვების მაღალი ფასის.რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები გახდნენ ინსტიტუციონილიზირებული საშუალებები სექციური კონფლიქტის, პარტიები გახდნენ დაპირისპირების გაღრმავების გამოხატულებები, ინდუსტრიულ ბირთვსა და სასოფლო პერიფერიულ შტატებს შორის. 1920-იან წლებში, კავშირი სექტორულინტერესებსა და პარტიულ რეგალიებს შორის უფრო კომპლექსური გახდა. რამდენიმე ეროვნული მასშტაბის მწვავე დამარცხების შემდეგ 1920-იანებში, დემოკრატიულმა პარტიამ გადაწყვიტა შთამბეჭდავად დაბრუნებულიყო. არასაპრეზიდენტო არჩევნების წელს, (ანუ როცა არ ტარდება პრეზიდენტის არჩევნები) 1922.წ მოიპოვა 78 ახალი კონგრესმენის ადგილი. დემოკრატების ახალი დახმარება, როგორც ჩანს აღმოჩნდა ჩრდილო აღმოსავლეთის ქალაქები, სადაც ადრე რესპუბლიკელები დომინირებდნენ, უცბად გადაბარგდნენ დემოკრატების ბანაკში. იმიგრანტები და კათოლიკეები, განსაკუთრებით ავსებდნენ დემოკრატიულ პარტიას. 1922 წელს,12 ნიუ-იორკის 13 ასარჩევი კონგრესმენიდან,აირჩიეს იმ რაიონებიდან, სადაც პროცენტულად მაღალი იყო იმიგრანტების რაოდენობა. კათოლიკეების და იმიგრანტების გაზრდამ, გამოიწვია ვირტუალური ჩიხი დემოკრატიულ პარტიაში ძირითადად პერიფერიულ შტატებს შორის, სინამდვილეში, ძალთა ბალანსმა პარტიის შიგნით ცვლილება განიცადა, პირველად ძირითადად მთავარი პარტიებისკენ. ორი ფრაქციის მტრობის პირობებში,წარმოუდგენელი გახდა რამე მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც დაიმსახურებდაუმრავლესობის მხარდაჭერას.

სენატორი *ბ. დიალი* სამხრეთ კაროლინადან ამბობდა:

„ჩვენ დავაინფიცირეთ ჩვენივე თავები და ჩვენი პარტია მიაზმით(სენი) და ეპიდემიით, რომელიც მოვიტანეთ დაავადებული ატმოსფეროს მქონე ძველი ქვეყნებისგან. ჩვენ დავუშვით, რომ დიადი დემოკრატიული პარტია დეგრადირებული ყოფილიყო. დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გაახმოვანოს ხალხის პოზიცია სწორად, რათა არ გაიგივდეს შემარცხვენელ ბოლშევიზმთანთუ სოციალიზმთან“ [83].

მსგავსება სენატორის სიტყვებსა და იგივეს გაჟღერება კუ კლუქს კლანის მიერ არ არის შემთხვევითი. ორივე პასუხობდა ერთსადაიმავე პოლიტიკურ უკმაყოფილებას. დემოკრატიის ეროვნული კონვენციის მიღებამდე, კლანსმენი მწერალი აღწერდა დემოკრატიულ პარტიას ასე:

„ერთ მხარეს იქნებიან მშრალები სველების წინააღმდეგ. მშრალების მხარეს იქნებიან პროგრესულად მოაზროვნე ხალხი, ხოლო სველების მხარეს კონეკტორები, მშრალი პროგრესულები ძირითადად იქნებიან დასავლეთიდან და სამხრეთიდან , მეორეები ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, კლანი იბრძოლებს მშრალებთან და ლიბერალებთან.[84]

სტატია აღწერს თუ რა ორიენტაცია ჰქონდა კლანს.1896 წლისთვის კლანის ფავორიტ პროგრესულ და პოპულისტურ კანდიდატების სიაში იყვნენ *უილიამ კენინგ ბრაიანი* და *ვუდრო უილსონი.* [85] მეტოქეობას უწევდნენ რეაქციონერები და კონსერვატორები , რომელთა ძლევამოსილება ფესვგადგმული იყო *თამანი ჰოლსიში,* და ზოგადად ჩრდილო აღმოსავლეთ შტატებში.

კლანი არ იყო ერთადერთი,რომელმაც აღიარა რომ იმიგრაციამ დიდად განაპირობა ინდუსტრიული ზონის პოლიტიკური გავლენ აგრარული პერიფერიის ხარჯზე. ეს მთავარი საკითხი იყო 1900 იანების დასაწყისში. სანდერები საუბრობდნენ დებატების დროს საემიგრაციო შეზღუდვის შესახებ:

---

[83]**Moore, Leonard Joseph.** Citizen klansmen: the Ku Klux Klan in Indiana, 1921-1928, University of North Carolina Press, 1991.გვ.91.

[84]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.91.

[85]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.74.

„რაც შეეხება მიწათმფლობელებს, მათ ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდათ ემიგრანტთა მხარდასაჭერად. პირველ რიგში, სამხრეთი და შუადასავლური სასოფლო და პატარა ურბანული თემები უშედეგოდ ცდილობდნენ, ევროპული სექტორის გადაბირებას. უმეტესად ემიგრანტები დასახლებულნი იყვნენ ინდუსტრიული ცენტრის ქალაქებში, სადაც რეგიონის განწყობა რესპუბლიკელთა არჩევისკენ მიმართული იყო, მათი რიცხვი გაფართოვდა ფერმერთა მთავარი მეტოქეების პოლიტიკურ ძალაუფლებაზე . მეორეც, ეთნიკურმა ზიზღმა გამოიწვია აგრესია სხვა თანამედროვე მოქალაქეების მიმართ, რომელიც ამტკიცებდა რომ ახალი ემიგრაცია ადვილად ვერ შეერეოდა ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებას ყველაზე იდეალისტური და აგრარული პროგრესის ჰუმანიტარული წარმომადგენელი ჯორჯ ნორისი ნებრასკადან, ხედავდა ემიგრაციულ პრობლემას, ამ პირობებში.“[86]

ის ფაქტი რომ, კათოლიკეები და ემიგრანტები გადადიოდნენ დემოკრატიულ პარტიაში, სხვადასხვა პერიფერიებისთვის პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა კონგრესში პროგრესული რესპუბლიკელების ბლოკი იყო უმრავლესობა, რესპუბლიკელი კანონმდებლები კვლავაც მზად იყვნენ, შეეწყოთ ხელი სამრეწველო ეკონომიკის წინსვლისთვის. იმავდროულად, დემოკრატიული პარტია, სულ უფროდა უფრო მეტ ფრაქციონალურობასა და უუნარობას ამჟღავნებდა რესპუბლიკელთა ეროვნული დონის ეფექტურობის ფონზე.

2.3კლანსმენები პოლიტიკაში

ხმის უფლების გაფართოებამ დიდად განაპირობა ინდუსტრიული ცენტრის პოლიტიკასთან დაკავშირება. 1920წლის არჩევნები იყო პირველი, როცა ქალებს უკვე ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება. ამავე წელს დაიწყო კლანის ფენომენალური გაზრდა. ქალთა ხმის მიცემის უფლება შემთხვევით არ იყო გადანაწილებული გეოგრაფიულ და პოლიტიკურ სივრცეზე. უმეტეს სამხრეთულ პოლიტიკაში, მე-19 შესწორების მიღებას

[86]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.92.

დაუყოვნებლივი შედეგი არ მოჰყოლია. სამხრეთ კაროლინაში, ქალთა საარჩევნო უფლების საფუძველზე ხმის მიცემამ იმატა მხოლოდ 5%-ით 1920წელს 1916 წელთან შედარებით. ამომრჩეველთა პროცენტული ზრდა საკმაოდ დიდი იყო ჩრდილოეთ შტატებში მაგალითად როდ აილენდში 91,2 პროცენტი, მასაჩუსეტში 86,7%. [87] აფროამერიკელთა ემიგრაცია სამხრეთ შტატებიდან, ჩრდილოეთ ინდუსტრიულ ქალაქებში ხელს უწყობს გეოგრაფიულ გათვლას ხმის მიცემის საქმეში. შავების მიგრაცია სამხრეთიდან, ჩრდილოეთ სამრეწველო დერეფანში იყო ხელსაყრელი რადგან აქ კენჭისყრაზე ნაკლები შეზღუდვები ხდებოდა .

ელისაბეთ კლემენსის ნამუშევრების მიხედვით კლანის გამოჩენის ისტორიული პერიოდი ხასიათდება მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის ზრდით. რესპუბლიკული იდეოლოგია სულ უფრო დაიმსხვრა კლანის ლიდერების მიერ ორგანიზებული განსაზღვრული ინტერესებით, მაგალითად სამრეწველო მუშები, ფერმერების, ქალების ან სხვა შევიწროებული კოლექტივების ინტერესების დაკმაყოფილებით. ამასგარდა, ფერმერები და სამრეწველო მუშები უფრო და უფრო მეტად ამჟღავნებდნენ თავიანთ ეროვნულ მოთხოვნებს და არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე. ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყვნენ ორგანიზაციაში გაწევრიანებულები ბევრ პრივილეგიას კარგავდნენ ეროვნულ პოლიტიკაში. ესენი არ იყვნენ არც ფერმერები ან ინდუსტრიული მუშები, რომლებსაც შეეძლოთ კანონპროექტის დასადგენად ნებისმიერი ახალი უპირატესობით სარგებლობა „მწარმოებელი კლასების“ დახმარებით. გასაკვირი არაა, რომ რესპუბლიკელთა იდეოლოგია იყო განსაკუთრებით მომხიბვლელი საშუალო ფენებისთვის, ვინაიდან, კლასების ინტერესების საფუძვლების დაგმობა, იცავდა არაორგანიზებული საშუალო კლასის ინტერესებს.

მანამ სანამ საშუალო კლასებს საფრთხე დაემუქრებოდა მუშებისა და ფერმერების მხრიდან, ისინი თავიანთი მოთხოვნებით გამოვიდნენ. სრულუფლებიანი მთავარი პოლიტიკური პარტიების და რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი საფრთხე. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, მემარცხენე ფრთის

[87]**Johnsen, Julia.E.** Debating the Ku Klux Klan, Westphalia Press, 2015.გვ.57.

მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიები ჩამოვიდნენ დასავლეთიდან უფრო, ვიდრე ჩრდილოეთის ინდუსტრიული ცენტრიდან. სამრეწველო მუშები, ძირითადად ჩართული იყვნენ პროფკავშირებში და ხშირად ურბანული პატრონაჟით აღჭურვილ მანქანებზე იყვნენ მიმაგრებულნი. შესაბამისად, სოციალისტური პარტიის დღის წესრიგში დიდწილად აისახა აგრარული პერიფერიის საჩივრები. ევგენი დებსი, ნიჭიერი ორატორი, 1900 წლის დასაწყისში ამერიკის უნიკალური ბრენდის რადიკალური პოლიტიკის სიმბოლოდ მოგვევლინა.[88] აშშ-ის სარკინიგზო კავშირის ყოფილი ლიდერი დებსი, სთავაზობდა ამერიკელებს მარქსიზმის, ამერიკული პოპულიზმისა და პროგრესივიზმის შერწყმას. თუმცა მისი საპრეზიდენტო კანდიდატები არასდროს წარმოადგენდნენ ორი დომინანტი პარტიის რეალურ კონკურენტებს. დებსი იყო სოციალიზმის ყველაზე ფართოდ აღიარებული მხარდამჭერი ეროვნული ფიგურა, 1900-იანებში. მაგრამ ის დაჩრდილა გარკვეულწილად ადგილობრივმა პოლიტიკურმა ძალებმა. დებსის დამოუკიდებლობის დაცვის პოლიტიკურმა მოქმედებამ ის მემარცხენე ფრთას შეუერთა.

სხვა უფრო კონსერვატული სოციალისტური ლიდერები, როგორებიც იყვნენ ვიქტორ ბერგერი და მორის ჰილქუითი, უპირატესობას ანიჭებდნენ თანამშრომლობას დომინანტ პოლიტიკურ პარტიებთან და ყალბ კავშირს ამყარებდნენ ამერიკის შრომის ფედერაციასთან. სოცლიალიზმის მხარდამჭერტა რიცხვი აშშ-ში საგრძნობლად გაიზარდა, ეს ეროვნულმა არჩევნებმაც დაადასტურა. პოპულისტური გამოწვევების წარუმატებლობასთან ერთად მათ გონებაში მარცხი განიცადა მესამე პარტიის გამოწვევების ნაწილმა, რომელიც ილუსტრირებული იყო აშშ-ში ამერიკული საარჩევნო სისტემის, ყველაზე მეტად სოციალისტების ოპერატიულობით ორი დომინანტი პარტიის შიგნით. ეს პრაქტიკაში იყო გამოყენებული ეფექტურად, არაპარტიული ლიგისა და სხვადასხვა ფერმერ-მუშათა გაერთიანებების მიერ, რათა ასევე ყოფილიყო მიღწეული სოციალისტური მიზნები.

---

[88]**Bowers, Richard.** Superman versus the Ku Klux Klan: The True Story of How the Iconic Superhero Battled the Men, of Hate National Geographic Society, 2012.გვ.89.

აშშ-ში პოლიტიკური მარცხის სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა 1910 იანებში, მსოფლიო ომის და რუსეთის რევოლუციის დროს. როგორც კი ამერიკა ჩაერთო ომში, სოციალისტური პარტია იყო ერთ-ერთი რამდენიმე დიდი შიდა ორგანიზაციებისგან, რომელიც, ღიად აკრიტიკებდა ქვეყნის ამ ქმედებას. სოციალისტთა წინააღმდეგობამ ომთან დაკავშირებით, გამოიწვია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დიდი რეპრესიები. 1919 წელს, კანტონში, ოჰაიოს შტატში, ევგენი დებსის გამოსვლის შემდეგ ის დააპატინმრეს და მიუსაჯერს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.[89] მრავალი სხვა სოციალისტიც იქნა დატყვევებული, ომის შესახებ, საჯაროდ დაფიქსირებული მათი პოზიციის გამო. თუმცა მანამ სანამ, ომის საწინააღმდეგო პოზიციები ეკავა პარტიას, ხელისუფლების რისხვა გაიზარდა ამან ხელი შეუწყო ახალი წევრების მიღებას. პარტიაში გაწევრიანება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ომის პერიოდში, რეპრესიების მიუხედავად. ომის დასრულებისას სოციალისტური პარტია იყო ყველაზე ძლიერი , ვიდრრე ოდესმე ყოფილა. 1920 წელს დებსის თაოსნობით მოხერხდა და პარტიამ მიიღო ხმების 5%, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის,ეს იყო მისი ციხეში გატარებული კამპანიის შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რევოლუციამ ქვეყანა ვერ ააყვავა, სოციალიზმი პოპულარობას ინარჩუნებს და პარტია წინ მიიწევს. მთავარი საკითხი იყო ამერიკელი მუშები უნდა მიჰყოლოდნენ საბჭოთა მოდელს, თუ ემუშავათ პროგრესული რეფორმებისთვის ამერიკელთა მუშების გაერთიანებებისა და ჩვეული პოლიტიკური ინსტიტუტების დახმარებით.1921 წელს მრავალი სოციალისტური პარტიის მარცხენა ფრთა გადაეცა კომუნისტურ პარტიას, ვინაიდან გაწევრიანების ხარისხი ამ დროისთვის სოციალისტურ პარტიაში საგრძნობლად დაეცა.[90] ესეც საგარეო ფაქტორითა და უკვე საბჭოთა რუსეთის მაგალითით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

---

[89]**Bowers, Richard.** Superman versus the Ku Klux Klan: The True Story of How the Iconic Superhero Battled the Men, of Hate National Geographic Society, 2012.გვ. 95.

[90]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.77.

ისინი ვინც მხარს უჭერდნენ თანდათანობით რეფორმებს, საარჩევნო პროცესებში ჯერ კიდევ, აჭარბებდნენ მათ ვინც ორიენტირებას იღებდა შეიარაღების სტრატეგიაზე. 1922 წლისთვის, ფერმერ მუშათა პარტიები პოპულარობით უსწრებდნენ სოციალისტურ პარტიას. ფერმერთა შრომისმოყვარეობა განსაკუთრებით გამოიკვეთა მინესოტას შტატში, რომელმაც აირჩია ორი თავიანთი კანდიდატი. ფერმერ - მუშათა გაერთიანება დიდ როლს ასრულებდა შტატის პოლიტიკურ ხაზზე მინესოტას ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით დასავლეთ შტატებში. 1924 წლამდე ფერმერ-მუშათა ორგანიზაციის ნაწილები არსებობას განაგრძნობდნენ შტატების დონეზე. 1920 წელს ფერმერ მუშათა კანდიდატი იუტადან, გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე. პარკლი პარკერ ქრისტიანმა ხმების 1 % მიიღო სახელმწიფო მასშტაბით საპრეზიდენტო კანდიდატურაზე, თუმცა მისი მომხრეები რამდენიმე შტატში იყვნენ შთამბეჭდავად ჩართულნი მათ ხელს არსებული რესურსების ფონზეე. ქრისტიანსონმა მიიღო ხმათა 19,4% ვაშინგტონში და 7% ვოიმინგში. ამის მიუხედავად, არც დებსა და არც ქრისტიანსონს არ ჰქონია რეალური შანსი მოხვედრილიყვნენ დომინანტი პარტიების რიგებში. 1920 წლის არჩევნების შედეგებმა ნათელყო, რომ კანდიდატების მხრიდან მეტი აქტიურობა და პოპულარობის მოპოვებაზე ორიენტაცია იყო საჭირო, რათა მესამე რეალური პოლიტიკური ძალა შექმნილიყო მუშათა და ფერმერთა გაერთიანებების სახით. როგორც 1924 წლის არჩევნებმა გამოავლინა ყველას ყურადღება მიიქცია *რობერტ ლა ფოლეტმა,* პროგრესული რესპუბლიკელმა სენატორმა ვისკონსის შტატიდან.[91]

ლა ფოლეტი იყო სოციალისტთა წარმომადგენლებზე მეტად კონსერვატორი. ძლიერი მხარდამჭერები საშუალო ფენებიდან ვისკონსის პროგრესს უშლიდა ხელს და მან განაცხადა, რომ იგი განსაკუთრებით წარმოადგენდა სამრეწველო მუშათა და ფერმერების პოზიციებს. ამის მიუხედავად მან გაიზიარა მრავალი სოციალისტის და სოციალ მუშათა პარტიის მიზანი და ისინი იმედოვენდებდნენ, რომ ქვეყნის მასშტაბით პოპულარობა მათ მოუტანდა სარგებელს. 1923 წელს ამერიკელი კომუნისტებიც კი შეუერთდნენ, ვინც დროებით გამოჩნდნენ საარჩევნო პოლიტიკურ არენაზე, რათა ლა

[91]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.96.

ფოლეტის მოძრაობას დახმარებოდნენ როგორც მესამე პოლიტიკური ძალის საპრეზიდენტო კანდიდატს. ლა ფოლეტის კანდიდატურა ნამდვილად ჩანდა ეფექტური მესამე მხარე, რომელიც დააარსდა სიცოცხლისუნარიანი აქტიური საზოგადოებების დახმარებითა და მოწოდებული იყო მწარმოებელი კლასებისა და პროგრესული რეფორმების კეთილდღეობაზე.

ლა ფოლეტი აქტიურად ჩაება რესპუბლიკური პარტიის შიგნით მოღვაწეობაში. მაგრამ ის მეტად იმედგაცრუებული დარჩა როცა ეცადა პარტიის მემარჯვენე მხარეს გადასვლას. 1924 წლის რესპუბლიკელთა ეროვნულ კონვენციაზე კენჭისყრის შედეგად მისმა პროგრესულმა იდეებმა დიდი წარმატებას ვერ მიაღწია. ლა ფოლეტი გამოსავლის ძებნას ცდილობდა სპონსორის მოძიებით. მინესოტის ფერმერ-მუშათა პარტია ემზადებოდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და მისი ლიდერები მიიჩნევდნენ რომ ლა ფოლეტი იქნებოდა მათი კანდიდატი. უილიამ მაჰონმა, პარტიის ლიდერმა გადაწყვიტა ეროვნული კამპანიის ფარგლებში, კომუნისტებთან გაერთიანება რასაც ბევრი პარტიის წევრი აკრიტიკებდა. [92] კომუნისტები, უილიამ ზ. ფოსტერის ხელმძღვანელობით წარმოადგენდნენ რაოდენობრივად დიდ ძალას რამაც გამოიწვია ლა ფოლეტის გან უარყოფითი რეაქცია.

ლა ფოლეტმა გადაწყვიტა დამოუკიდებელი პროგრესული კანდიდატის პოზიცია დაეჭირა მუშათა და ფერმერთა პარტიის ლიდერებისა და სოციალისტების გაუფრთხილებლად.თუმცა ისინი მაინც ლა ფოლეტის უკან იდგნენ და მხარს მის კამპანიას უჭერდნენ. ევგენი დებსმა იმის ნაცვლად რომ შეეცვალა მისი საპრეზიდენტო ფავორიტი მხარდაჭერა გამოუცხადა ლა ფოლეტს. დებსმა ფორმალურად, 7 ივლისს სიტყვა მიუძღვნა ლა ფოლეტს. ნიუ იორკში, სოციალისტების ლიდერებისადმი დაწერილ წერილში ის წერს რომ სანამ მას არ შეუერთდებოდნენ კონფერენციაზე, რომელიც მან დაგეგმა, სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები, მას არ სჭირდებოდა სოციალისტების მოკრძალებული მხარდაჭერა.

---

[92] **Cunningham, David.** Klansville, U.S.A.: The Rise and Fall of the Civil Rights-Era Ku Klux Klan, Oxford University Press, USA , 2010.გვ.117.

ლა ფოლეტმა და მისმა პარტნიორმა ბარტონ ველერმა, პროგრესული დემოკრატი სენატორისგან მონტანადან, მიიღეს დიდი მხარდაჭერა, ამერიკის შრომის ფედერაციისგან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შრომის ფედერაციის მოწონება დაიმსახურა საპრეზიდენტო კანდიდატმა. *„ამერიკის შრომის ფედერაციის“ (American Federation Of Labor)* კომიტეტმა გამოსცა შემდეგი განცხადება:

ლა ფოლეტი და ველერი მთელი მათი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მტკიცერდ იცავდნენ დაქირავებულებისა და ფერმერების უფლებებსა და ინტერესებს. ამერიკის შრომის ფედერაციის ლა ფოლეტისადმი მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობას სოციალისტებთან, წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნახტომს შედარებით კონსერვატიული მუშათა ორგანიზაციისათვის.[93]

ლა ფოლეტის მესამე ძალად გამოსვლა გახდა კლანის წევრების ამბივალეტურობის მიზეზი. ის იყო ერთ-ერთი გამორჩეული პროგრესული კანონდამცველი და ასევე ძლიერი მოწინააღმდეგე მონოპოლიებისა და ექპლუატატორი კაპიტალისტებისა. ის იყო გულწრფელი ოპონენტი ინდუსტრიული ტარიფებისა. ლა ფოლეტის გაერთიანებამ სოციალისტებთან და მისი რადიკალიზმის ზრდის მიუხედავად მრავალი შეშინებული მოქალაქისთვის ორაზროვნების გაღვივება გამოიწვია. და, მიუხედავად იმისა რომ კლანის ლიდერები აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს, გამოუცდელი მუშების ექსპლუატაციის გამო, მათ შეწყვიტეს კერძო საკუთრების უფლებების დაცვა და ლაპარაკი არაკვალიფიციურ მუშათა დისკრეტიდაციაზე. რადიკალი მემარცხენეებისგან წამოსულმა მუქარამ მრავალი კლანის წევრიდა მიმდევარი ჩართო პროცესებში. კლანის მხარდამჭერთა ორაზროვნების პრობლემა გადაწყდა, როცა ლა ფოლეტმა დაგმო „უხილავი იმპერია“ საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებისთანავე. კლანის შევიწროვების შემდეგ ლა ფოლეტი ხასიათდება, როგორც პიროვნება რომელმაც მიატოვა პროგრესული პრინციპები მის ნაცვლად აირჩია გამხდარიყო კათოლიკეების, ემიგრანტებისა და რადიკალისტების წარმომადგენელი. იმის გამო, რომ ლა ფოლეტის

[93]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.96.

მხარდამჭერთა უმრავლესობა იმიგრანტი მოსახლეობისგან შედგებოდა, კლანსმენებმა შეძლეს პოლიტიკური და კულტურული ბრძოლის გაგრძელება.

იმისათვის რომ გავიგოთ პოლიტიკური ძალაუფლების გაუფასურების წყაროები მრავალი კლანის შემადგენელისა, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ეროვნული დონის პოლიტიკაზე. ემიგრანტები და კათოლიკეები ჩრდილოეთ ინდუსტრიულ ქალაქებში უარყოფითად მოქმედებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ძალაზე, რომლებიც განლაგებული იყვნენ ინდუსტრიული ცენტრის რეგიონების მიღმა. მეორეს მხრივ, ემიგრანტების ქმედებებმა, დასავლეთ შტატებში, პოტენციურად გააძლიერა მემარცხენე ფრთა პოლიტიკურ ორგანიზაციებში. ანალოგიურად, ჩრდილოეთის ინდუსტრიულ შტატებში, ქალთა ამომრჩეველთა დაშვებამ გამოიწვია ბევრი სიახლე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პოლიტიკის კამპანიის შემუშავებასა და წინა საარჩევნო დაპირებებს. შტატები რომლებიც ვერ იღებდნენ ახალი ამომრჩევლებისგან ხმებს, იგნორირებული რჩებოდნენ ახალი პოლიტიკური პროცესებისგან. როგორც პოლიტიკური სიახლეების განხილვაა აუცილებელი, ასევე საჭიროა განვიხილოთ თუ როგორ აღორძინდა კლანის ძლიერება ადგილობრივ პოლიტიკაში. 1900 იანების დასაწყისში ურბანული პოლიტიკური მოდელი იყო მთავარი მიზანი პროგრესული რეფორმებისა.[94] ბრძოლა ქალაქების პატრონაჟის მოდელის წინააღმდეგ, მოდიოდა კლანის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში, ვინაიდან მოდელი ხშირად წარმოადგენდა ალიანსს ძლიერ კორუფციასა და ემიგრანტ მუშათა კლასს შორის. ეს უკანასკნელი ხშირად უარს ამბობდა ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებაზე და მომმარაგებლურ მომსახურეობაზე, რადგან ისინი არ უკავშირდებოდნენ მფარველურ ქსელურ დაარსებას მუშათა მეზობელ კლასებში. მათ ვინც აღნიშნული პოლიტიკური მოდელის წინააღმდეგი იყო აგრეთვე მოუწია ოპონირება ემიგრანტებისადმი, ვინაიდან ახალი ემიგრანტების ტალღის მხარდაჭერას შესაძლოა გამოეწვია პარტიის უფროსთა პოზიციების გაძლიერება.

---

[94]**Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s, Ivan R. Dee, 2011.გვ.125.

მექანიკური პოლიტიკა არსებითად ემსახურებოდა როგორც საშუალო ფენას ისე ბიზნეს ელიტასა და სამრეწველო მუშებს. ისინი ფორმალურად უზრუნველყოფდნენ სამუშაო ადგილებსა და სხვა ფასეულ რესურსებს , რომელიც შესაძლოა გადაეცეს მშრომელებს მათი პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ.

კორპორატიული დაფინანსება იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასავლეთ ქალაქებში ახალი წარმოების მოდელის დამყარებისა და შენარჩუნების საქმეში. სადაც პოლიტიკოსებს ყოველთვის არ შეეძლოთ კავშირების დამყარება შედარებით მდგრად ემიგრანტ მეზობლებთან. მოსახლეობის აქტიურ ზრდას დასავლეთ ქალაქებში შესაძლოა გამოეწვია არაპროგნოზირებადი არჩევნები. ასეთ პირობებში, მსხვილი კორპორაციების რესურსებიდან, განსაკუთრებით სარგებლიანი იყო ადგილობრივი აპარატის დახმარება ძალის შენარჩუნების მიზნით. მაგალითად, კუ კლუქს კლანი, 1920იანების დასაწყისში, ებრძოდა პოლიტიკურ აპარატს ოკლაჰომაში.როგორც რომბერგი აღწერდა:

„ფრანჩიზა, გავლენა კორპორაციებზე ჩამოაყალიბეს ფორმალურად ურბანული რეჟიმის ცენტრში, ოკლაჰომაში. მათი მეშვეობით, ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა დააკმაყოფილეს საზოგადოების მოთხოვნებიდან ორივე, გადასახადების შემცირება და ძირითადი ქალაქების მომსახურეობის ზრდა. თავის მხრივ, კორპორატიული ელიტები დაცული იქნა თავიანთი მოგებებითა და პრივილეგიებით ფორმალური ალიანსისსა და მფარველების მიერ, ვინც აკონტროლებდნენ დაქვემდებარებულ მუშათა კლასის ხმებს. როგორც კი ქალაქი გაფართოვდა , გაიზარდა საშუალო ფენის წარმომადგენელთა რაოდენობა, სულ უფროდა უფრო მეტი მოქალაქე რჩებოდა იმედგაცრუებული. როგორც მათმა გარეუბნელმა მეზობლები სარგებლობდნენ დაბალი პრიორიტეტით, ადგილობრივი მთავრობისგან, როდესაც მათ მიიღეს უზრუნველყოფის ძირითადი მომსახურეობა.

საშუალო კლასის ამომრჩევლები , ქალაქებში როგორიცაა ოაკლანდი პოლიტიკური ძალაუფლების მოპირდაპირე მხარეს იდგნენ. ეროვნული ამომრჩევლების რაოდენობა არსებითად გაიზარდა, ქალთა საარჩევნო უფლების საფუძველზე. იმიგრაცია შემცირდა 1910-იანებში , თუმცა ისევ გაიზარდა ომის შემდეგ რამაც კლანის ზრდაც გამოიწვია. კვლავ

ამაღლება იმიგრაციის დონისა იწვევს ჩრდილო-აღმოსავლეთში ცვლილებებს, ასევე ურბანულ პოლიტიკაშიც. ემიგრანტების გააქტიურება ოაკლანდში, დენვერსა და პორტლენდში აძლიერებს კლანის წინააღმდეგობას პოლიტიკური მოდელისადმი. მოსახლეობის ზრდა ზოაგადად, შემოდინების ფონზე კლანსმენებს არ მოსდიოდათ თვალში, მითუფრო თუ ისინი არ იყვნენ თეთრი პროტესტანტები. სარგებელი მოსახლეობის ზრდისგან იყო ის რომ ჯგუფებს უნდა მოეხდინათ ორგანიზება, მათ უნდა გადაედგათ ნაბიჯი რათა უზრუნველყოთ ახალი ამომრჩევლების რეგისტრაციის გაეშე მიღება გაყალბების მისაღწევად."[95]

ერის მასშტაბით კლანსმენები და ქალთა კლანის წარმომადგენლები, ითხოვდნენ „100% ამერიკელობას" პოლიტიკურ მიმდინარეობებში. ადრეული წარმატებები ტეხასში, ჯორჯასა და ორეგონში სტიმულს აძლევდა ხელმძღვანელობას. აღსანიშნავია, რომ კლანი აპარტიულ ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი კენტუკელი კლანსმენი აცხადებდა რომ „კლანი არ არის პოლიტიკური პარტია, ჩვენ გვჯერა, რომ კლანის გაიგივება რომელიმე პარტიასთან დამღუპველი იქნება ჩვენი ორგანიზაციისთვისა და ჩვენი „ჯვაროსნული ლაშქრობისთვის".

1922 წელს *ე.ბ.მაიფილდი* ტეხასიდან, გახდა პირველი კლანელი წევრი აშშ-ის სენატში. გუბერნატორის დამარცხების შემდეგ და ანტიკლანელი კანდიდატის წარდგენით(დემოკრატ) *ჯ.ფერგიუსონმა,* მხარი დაუჭირა რესპუბლიკელ *გ.ფედისტს,* გენერალურ არჩევნებში. [96] დამარცხებულმა ფერგიუსონმა დალასში, უკანონო ქმედებებში დაადანაშაულა კუ კლუქს კლანი. და იგი დამნაშავეების დასჯას მოითხოვდა, თუმცა მის გამოსვლებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1922 წელს ჯორჯიაში კლანმა აირჩია რამდენიმე ფავორიტი კანდიდატი ლოკალური ოფისის კლანსმენი- *უოლტერ სიმსი,* ატლანტაში მეორედ აირჩიეს. მან დაამარცხა, ჯეიმს ვუდვორდი , რომელიც ღიად ეწინააღმდეგებოდა კლანსა და მის კამპანიას.[97]

---

[95]**Rhomberg, Chris .** No There There:Race, Class, and Political Community in Oakland, 2007.გვ.233.

[96]**Jenkins, William D.** Review of Behind the Mask of Chivalry: The Making of the Second Ku Klux Klan. Journal of Social History, 1995.გვ.135.

[97]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.26.

კლანი ასევე შეარყია, ჯორჯიაში სახელმწიფო დონის პოლიტიკური მოღვაწის, *ტომას ჰარდვიქსის* გარიცხვის მოთხოვნამ,მას შემდეგ რაც მან მოითხოვა კლანსმენებს თავი შეეკავებინათ ძალადობისგან.

კლანის პოლიტიკური წარმატებები არ შემოფარგლულა სამხრეთით. 1922 წლის დასაწყისში მოძრაობა გაძლიერდა ორეგონის პოლიტიკაში. როცა რესპუბლიკელთა კანდიდატმა დაკარგა უპირატესობა, ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა დემოკრატ უოთერ პირსს.[98] პირსმა გაიმარჯვა, იმის მიუხედავად რომ თავიდან რესპუბლიკელებს აშკარად მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ.

მომდევნო წლებში კლანსმენები და მათი მიმდევრები წარმატებას აღწევენ პორტლენდში. ფრედ აიფორდი, „დიდი დრაკონი" ორეგონის კლანისა, იჭერდა დომინანტურ მდგომარეობას პორტლენდის პოლიტიკაში რამდენიმე წლის განმავლობაში.

კლანის გაფართოვება იგრძნობოდა ასევე ოკლაჰომაში. 1923 წელს, მოძრაობა დიდ როლს თამაშობდა გუბერნატორი *ჯეკ უოლტონის* კამპანიაში. უოლტონი წარდგენილი იყო როგორც ფერმერთა შრომის კავშირის კანდიდატი, სოცალისტური პარტიისა. მას შემდეგ რაც მისი მომხრეები დაიშალნენ უოლტონს აერია ურთიერთობა კლანთან.

კლანი 1923 წელს, რამდენიმე თავის წევრს დაეხმარა ოკლაჰომის შტატის საკანონმდებლო ხელისუფლებაში.მთელი ქვეყნის მასშტაბით კლანი ფლობდა გაერთოანებებს მსოფლიოს ინდუსტრიული მუშებს. 1924 წელს კლანის წარმატებები მწვერვალს აღწევს, დაიწყო ახალი კამპანია „100% იან ამერიკელთა" კანდიდატის ხმის მისაცემად.[99]

იყო შემთხვევები როცა კლანი მხარეს უჭერდა, კანდიდატს რომელიც დახმარების გარეშეც გაიმარჯვებდა. მაგალითად მაინსში რესპუბლიკელთა კანდიდატს უჭერდნენ მხარს, მისი გამარჯვება არასდროს ყოფილა სარისკო.

---

[98]**Rhomberg, Chris .** No There There:Race, Class, and Political Community in Oakland, 2007.გვ.256.

[99]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.97.

არსად ყოფილა კლანი ისეთი ძლიერი როგორიც ინდიანაში. 1924 წლისთვის სტეფენსონის ვარსკვლავი იმაზე მეტად ბრწყინავდა ვიდრე ,კლანის ნებისმიერი სხვა წარმოამდგენლისა.როგორც ხელმძღვანელი 23 ჩრდილოეთის შტატის კლანისა, ის იყო პასუხისმგებელი ეროვნული ორგანიზაციის ბიუჯეტში ათასობით დოლარიზე, ასევე მან პირადი ქონებაც საკამაოდ დააგროვა, კლანის წყალობით. სტეფენსონმა ვერ შეინარჩუნა სიმდიდრე და ძალაუფლება რამაც გამოიწვია ევანსისა და ეროვნული სათაო ოფისის გაღიზიანება.

სტეფენსონის ძალაუფლების ზრდამ, დიდმა ამბიციებმა, საბოლოოს გამოიწვია განხეთქილება მას და ჰირამ ევანსს შორის. მიუხედავად ამისა, კლანი ინდიანაში ძლიერი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე და ნოემბრის არჩევნების შემდეგ სტეფენსონს ყველგან შეეძლო ფაქტობრივად მთელ შტატის პოლიტიკურ აქტივობებში ჩართვა.მისი ოფისი ინდიანაპოლისიდან, კლანსმენებთან ღრმად ინარჩუნებდა კავშირს შტატების საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, სასამართლო განშტოებასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან. კლანმა ასევე პოზიცია განიმტკიცა ეროვნულ პოლიტიკაში. ჰირამ ევანსი გამოჩნდა ჟურნალის გარეკანზე, მისი ინტერვიუ მიმართული იყო კლანის ოპონენტების გასაჩუმებლად და რესპუბლიკელთა პარტიის ეროვნული კონვენციის წინააღმდეგ. 2 კვირის შემდეგ ნიუ იორკში დემოკრატებთან კლანს მოუვიდა დაპირისპირება.[100]

კლანის ლიდერები ცნობილი იყვნენ როგორც მილიონობით წევრისა და მომხრის მფლობელი მთელ ქვეყანაში. მათ შეეძლოთ დიდი ბიძგი მიეცათ ეროვნული პოლიტიკისთვისაც.

1920იანი წლების შუა ხანებში, მოძრაობა საჯაროდ იქნა უარყოფილი და გაკრიტიკებული ლა ფოლეტისა და დემოკრატთა პრეზიდენტობის კანდიდატის *ჯონ დევისის* მიერ. მხოლოდ რესპუბლიკელი *კალვინ კულიჯი* უარყოფდა ორგანიზაციის

[100]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.76.

დადანაშაულებას.[101] ამის მიუხედავად, კლანის იმპერია 1924 წლისარჩევნების შედეგად გამოცხადებულ იქნა გამარჯვებულად.

2.4 კუ კლუქს კლანი და კულტურა

„რასა არის კულტურული მშენებლობა, თუმცა ერთ-ერთი ბოროტი სტრუქტურა“. კლანის ლიდერები ხშირად მოითხოვდნენ, რომ შავკანიანები, კათოლიკეები, ემიგრანტებისა და ებრაელების მიმართ გამოეჩინათ სიფრთხილე. ისინი ასევე მოითხოვდნენ მობილიზაციას, რათა თეთრკანიანებსა და პროტესტანტებს შეენარჩუნებინათ ფართო დიაპაზონი საკუთარი გავლენებისა. კუ კლუქს კლანმა, წარმოადგინა 7 სიმბოლო, რომელსაც საკრალური დატვირთვა ჰქონდა და საინტერესო იქნება მათი განხილვა.

ბიბლია -ეს არის ღვთაებრივი წიგნი რომელიც ღმერთის არსებობაში გვარწმუნებს. არავის შეუძლია ამ წიგნის გააზრება ღრმა ფიქრის გარეშე. ბიბლია ყოველთვის გვახსენებს , რომ ღმერთია ჩვენი შემქმნელი - მამა, ხოლო ზეცა - ეს მომავალი სახლია. ის გვიხსნის ჩვენი არსებობის არსს და სიკვდილის დანიშნულებას. ის გვიჩვენებს არსებობის ჭეშმარიტ გზას. ბიბილია ეს არის წიგნთა შორის მთავარი წიგნი,რომელიც ჭეშმარიტ ღმერთზე სინამდვილეს მოგვითხრობს. კუ კლუქს კლანის ნებისმიერი დაჯგუფებისთვის ბიბლია გადაშლილია მე12 თავზე, სადაც აღწერილია ცხოვრების წესი და შეხედულებები. ეს წესები არის მთავარი ცხოვრებისეული კანონები, ნებისმიერი კლანის წევრისთვის სავალდებულოა მისი კითხვა ყოველ დღიურად.[102]

ჯვარი - ეს არის ქრისტიანული სარწმუნოების ნიშანი.“ შეწირვის სიმბოლო“ ქრისტეს რწმენით გასხივოსნებული და 50 მილიონიანი წამებულის სისხლით განბანილი. ის აუცილებლად უნდა იყოს თითოეული წევრის ოჯახში. როგორც მუდმივი შეხსენება რომ

---

[101] **McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.155.

[102] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.183.

ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა არის მთავარი მამოძრავებელი ნებისმიერი კლანის წევრისათვის. რომის იმპერიისთვის ჯვარი იყო სირცხვილის და უნამუსობის სიმბოლო. მხოლოდ ქრისტეს სისხლის დაღვრის შემდეგ გადაიქცა ის რწმენის,იმედისა და სიყვარულის სიმბოლოდ. სწორედ ის ამოძრავებდათ ჯვაროსნებს რათა გაენთავისუფლებინათ წმინდა მიწა თურქი დამპყრობლებისგან. ის აუცილებელია იმყოფებოდეს ყველა ამერიკული გაერთიანების შეკრებებზე, მტრების წინააღმდეგ. „ამჟამად ჩვენ დავამატეთ- ცეცხლი, რომელიც აღნიშნავს , რომ ქრისტეს მსახურება ეს ქვეყნის სინათლეა, ეს ცეცხლი გაფანტავს ეჭვს და სიბნელეს, ისევე როგორც ჭეშმარიტება გაფანტავს ურწმუნოებას. ცეცხლი ასუფთავებს ოქროს, ვერცხლს და ყველა ლითონს , რომელიცყველაფერს ნაკლებ ფასეულს ქმნის. ასევე ჩვენი ცეცხლის გაჩენით ვადასტურებთ ჩვენს ეჭვებს და ვამტკიცებთ სიკეთის მოყვარულობას. ნუთუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც უნდა დაინახოს ეს წმინდა ცეცხხლი და არ მოისურვებსს გახდეს უფრო უკეთესი.[103]

დროშა- ეს ძველი სიცოცხლის ფასად და მრავალი თაობის ტანჯვის ფასად მიღებული ამერიკული დროშაა. ის არის სიმბოლო იმ დანაკარგისა, რომელიც ამერიკელმა ხალხმა თავისუფლებისთვის ბრძოლაში განიცადა. ზუსტად დროშა წარმოადგენს ამერიკის კონსტიტუციის სიმბოლოს, სიტყვის თავისუფლებას , პრესის მსოფლმხედველობასა და დანარჩენ კონსტიტუციურ უფლებებს. ამერიკელი მოსახლეობისთვის წითელი ფერი- ამერიკელი გმირების სისხლის სიმბოლოა. რომელიც 100-ზე მეტი ბრძოლის დროს არის დაღვრილი, თეთრი ფერი კი სისუფთავის სიმბოლოა რითაც ამერიკელი ქალებისა და ოჯახის სიწმინდეს იცავდნენ. ცისფერი- ეს არის ამერიკული უსასრულობის სიმბოლო, ვარსკვლავებიკი დამოუკიდებელი შტატების სიმბოლო. „ჩვენ შევფიცეთ, რომ ყოველთვის დავცავთ დროშის სიწმინდეს, საკუთარ ღირსებას, ჩვენს ქონებას, კლანის რაინდების სიცოცხლეს , სუფთა ამერიკანიზმს.[104]

---

[103] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.184.

[104] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.183.

მახვილი - ეს არის კანონი ძალის საწყისიის წარმოადგენს სახელმწიფოს მთელ ძალაუფლებას დაწყებული პრეზიდენტიდან დამთავრებული პოლიციელამდე პატარა სოფელში. მახვილის გამორჩეულობა ჩვენთვის ნიშნავს, რომ ჩვენ როგორც ორგანიზაცია გამოვდივართ დასახმარებლად, მსოფლიოს მოქალაქეებისადმი, წესრიგისა და მართლმსაჯულების დაცვისთვის.. ჩვენ გამოვდივართ მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს მხარდასაჭერად, ყველა მოქალაქის თანასწორუფლებისთვის კანონის წინაშე, მიუხედავად მისი რასის, ენისა და წარმომავლობისა. მახვილი აგრეთვე არის მტკიცებულება იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავიცვათ ჩვენი დროშა და ყველაფერი რაც ორგანიზაციის სიმბოლოებს წარმოადგენს, აგრეთვე ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა სხვა სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. რელიგიური თუ ფიზიკური თავდასმის დროს, ჩვენ გვწამს და გვიანდა ამერიკა ამერიკისთვის. ვფიცავთ ყველანაირად დავიცავთ მას, როგორც შიდა ასევე გარე მტრებისგან. მახვილი ეს არის მუდმივი შეხსენება ჩვენთვის, რომ ყოველთვის დავიცავთ საკუთარ ქვეყანასა და კონსტიტუციას. [105]

წყალი- ეს არის ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანი , ვიდრე მთელი მსოფლიოს ძვირფასეულობა, ზუსტად წყალი წარმოადგენს სიცოცხლისს და სიწმინდისა ერთიანობას. კუ კლუქს კლანის ცერემონიაზე ჩვენ ვფიცავთ, რომ გადავარჩენთ ჩვენს სულებს და ვიაზროვნებთ ისევე სუფთად როგორც წყალი ბროლის ჭიქაში. ერთმა წვეთმა სისხლმაც კი შეიძლება აამღვრიოს წყალი, ამაზე ფიქრი ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას არასწორი ნაბიჯების გადაგმისა. ჩვენ გვინდა კაცობრიობისთვის ისეთივე აუცილებელი და საჭიროები ვიყოთ, როგორც წყალი, ჩვენ გვინდა ისე გავერთიანდეთ მიზნების გარშემო, როგორც წყლის წვეთები. ამდენად, ჩვენ წყალს განვიხილავთ როგორც მშვენიერ სიმბოლოს, ერთიანობისა, სარგებლობისა , სიწმინდისა.[106]

ბალახონი - ეს არის სიმბოლო რომ ადამიანები არ იყოფიან სოციალური მდგომარეობისა და წარმომავლობის მიხედვით. მისი წყალობით კლანსმენები

---

[105] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.185.

[106] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.186.

საგულდაგულოდ მალავდნენ შინაგან „მეს“. ჩვენს შორის არ არიან არც ღარიბები არც მდიდრები, ყველანი ვართ ერთი კლანის წარმომადგენლები. როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვხედავთ ბალახონებში , ჩვენ ვიცით რომ ყველანი ერთნი და თანასწორნი ვართ. თეთრი სამოსი, ეს არის ზეციური ქრისტეს მოძღვრების თანახმად. ისინი აცადებდნენ რომ ვიღაც უვიცმაც შეიზლება ჩაიცვას ბალახონი , თუმცა მხოლოდ კუ კლუქს კლანის ღირსეულ რაიდნებს აქვთ უშიშარი გული და სუფთა სული. ჩვენ ვცდილობთ დავმალოთ თეთრი სამოსის ქვეშ ჩვენი ცოდვები რომელიც კეთილი მიზნებით ჩავიდინეთ და როცა ქრისტეს წინაშე წარვდგებით, თეთრი ბალახონი დაფარავს ჩვენს შხამსა და იარებს.[107]

ნიღაბი - ეს არის უანგარობის სიმბოლო. მისი მეშვეობიტ კლანსმენებიმალავდნენ საკუთარ სახეს და ეფლობოდნენ კუ კლუქს კლანის საერთო საქმეში. „ჩვენ ვწირავთ საკუთარ თავს სხვებისთვის“ მათი მოქმედების ძირითადი დევიზია, ამგვარად ისინიცდილობდნენ, სიმბოლოების მეშვეობით უფრო გარკვევით მიეტანათ ახალწევრებამდე თავიანთი სათქმელი და ძირითადი პრინციპები. ნიღაბი იყო სიკეთისა და სამართლიანობის სიმბოლო, ნიღბის მეშვეობით კლანსმენები ხაზს უსვამდნენ თანასწორუფლებიანობას. [108]

კლანი ამერიკული ისტორიისთვის საკმაოდ საინტერესო თემას წარმოადგენს. ამას მოწმობს არაერთი თხზულება თუ ფილმი რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას მიეძღვნა. ესე ხდება კინოს დაბადებიდან დღემდე. თუმცა სეზონი გახსნა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფილმმა,კლანის ისტორიაში-*„ერის დაბადებამ“*. სწორედ ის უძღვოდა წინ კლანის მეორე აღორძინებას.

*დევიდ უორქ გრიფტის*ფილმი*„ერის დაბადება“* ამერიკის შეერთებულ შტატებში 1915 წლის 8 თებერვალს გამოვიდა.[109]ეს იყო უდიდესი კომერციული წარმატება, რომელიც

---

[107] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.186.

[108] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.187.

[109] **Rice, Tom.** White robes, silver screens : movies and the making of the Ku Klux Klan, Indiana University Press, 2015.გვ.69.

ტომას დიქსონის ნაწარმოებზე *„კლანის წევრი“* იქნა აგებული.[110] ფილმის სიუჟეტი სამოქალაქო ომის დასრულებას, აბრაამ ლინკონის მკვლელობასა და კუ კლუქს კლანის აღზევების ეპოქას აღწერს. კერძოდ გადმოცემულია ორი ტიპიური ამერიკული ოჯახის ურთიერთობა. როგორც წიგნის ავტორი იხსენებდა, მისი ბიძის სახლში მუშაობდაკომფედერანტი ჯარისკაცის ქვრივი ქალბატონი. იგი ყვება საკუთარი შვილის შესახებ, რომელიც შავკანიანმა გააუპატიურა. ეს უკანასკნელი კი რევანშის მიზნით კუ კლუქს კლანელმა სიკვდილით დასაჯა ქალაქის მთავარ მოედანზე. ამ და სხვა ფაქტებმა დიდი გავლენა იქონია დიქსონზე, რამაც კლანისადმი კეთილგანწყობილება ჩამოუყალიბა და მათ მხარდამჭერად მოგვევლინა. შეიძლება თამამად ითქვას რომ მეორე კლანის წარმატების პიკს, სწორედ დიქსონისსა და გრიფითსის წყალობითაღწევს. ტექნოლოგიურმა სიახლეებმა და კინოინდუსტრიის აღორძინებამ ფილმს არნახული პოპულარობა მოუტანა. რეკონსტრუქციის ეპოქაში წიგნმაც და ფილმმაც უდიდესი როლი ითამაშა. ფილმის დრამატულმა კულმინაციამ საზოგადოებაში სათანადო ემოციები აღძრა რამაც უბიძგა სიახლეების მიღებისკენ, ამშემთხვევაში კლანისადმი სიმპათიების გაღვივებისკენ. ისტორიკოსის *კენის ჯექსონის* შეფასების თანახმად კინომ საზოგადოების ყველა ფენა შეძრა. იარაღისა და ცეცხლის კადრებმა მათში გაღვიძა ენთუზიაზმი . საყურადღებოა რომ, „ერის დაბადება“ იყო პირველი ფილმი რომელიც თეთრ სახლში აჩვენეს, თავად პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა ნახა და დადებითად შეაფასა. ფილმი სწორად იქნა გამოყენებული კუ კლუქს კლანის პიარისთვის, რაც ორგანიზაციის ლიდერ- სიმონსის დამსახურებაა.[111]

ქარწაღებული - ასევე გახმაურებული და დღესაც ძალიან პოპულარული რომანი, რომელიც რეკონსტრუქციის პერიოდს ეხება და კარგად ჩანს კუ კლუქს კლანის მოღვაწეობის დროინდელი ეპოქა. ფილმს ეფუძნება 1936 წელს *მარგარეტ მიჩელის* მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოები, იგივე სახელწოდებით. ეკრანებზე გამოჩნდა 1939 წელს. მასში დახატულია კლანსმენი ღირსეულ, განათლებულ, პატივსაცემ კონფედერატად,

---

[110] **McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.20.

[111] **Griffith d.w**. The birth of nation,1915. ელექტრონული ვერსია იხ.:http://net.adjara.com/Movie/main?id=13698

რომელიც აფრო-ამერიკელთა და იანკთა უწესობის წინააღმდეგ გამოდის. წინამორბედის მსგავსად, ამ ფილმშიც კლანსმენი კლავს შავკანიანს, რომელმაც შეურაწყობა მიაყენა ამერიკელ ქალს. ფილმში კლანსმენები ჩნდებიან ასევე, მთავარი გმირის, *სკარლეტ ო'ჰარაზე* თავდასხმის შედეგად. ძალადობა სპეციალურად იყო მოწყობილი, რათა კლანსმენები გამოეჭირათ იანკებს. ერთი სიტყვით ეს გავრცელებული რომანიც თავისი სიუჟეტებით ხოტბას ასხავს კუ კლუქს კლანის არსს.[112]

„ალში გახვეული მისისიპი“ –1988 წელს გამოვიდა. ფილმში გადმოცემულია შავკანიანი *ჯეიმს ჩეინისა* და ორი ებრაელის, *მაიკლ შვერნერისა* და *ენდრიუ გუდმანის* მკვლელობა. 1964 წელს, კლანის ლიდერებმა ისინი დახვრიტეს და დამარხეს . ფილმში კლანის მუქი ელფერია გადმოცემული, თუ წინანაწარმოებები კლანსმენების ღირსებას აჩვენებდა აქ მოძალადეებად მოგვევლინენ. თუმცა ეს სულაც არ ანაღვლებდა მოსახლეობას, რომელიც მაინც კლანის გულშემატკივრთა რიგებში იყო. ფილმი რეალურ ამბავს ეფუძნებოდა, ამდენად მხილებულებს იმავე წელს გამოუტანეს განაჩენი, უბრალოდ „ადამიანის უფლებების დარღვევისთვის“ და მიუსაჯეს მხოლოდ სამი ან ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასჯელი ყველაზე მაქსიმუმ 6 წლით გაგრძელდა.[113]

---

[112] **Fleming, Victor.** Gone with the wind,1939. ელექტრონული ვერსია იხ.:http://net.adjara.com/Movie/main?id=4858

[113]**Parker,Alan.**Mississippi burning,1988. ელექტრონული ვერსია იხ.:https://www.imdb.com/title/tt0095647/

თავი III. მესამე აღორძინება

3.1მესამე კლანი

1960-იანი წლების დასაწყისში, სამხრეთ ამერიკაში გაჩნდა პუბლიცისტური დისკუსიები სეგრეგაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ეს კამათი სისხლისმღვრელ დაპირისპირებებში იზრდებოდა. საქმე ისე გართულდა რომ პოლიცია ძაღლების, წყლის ჭავლების საშუალებით ახდენდა სამოქალაქო აქტივისტების დაშლას. ბირმინგემში, კუ კლუქს კლანის ლიდერები თავს ესხმოდნენ შავკანიანთა სახლებს და წვავდნენ, აგრეთვე არბევდნენ სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც რასისტული დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ გამოდიოდნენ.

ყველაზე დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა იმ წლებში, ზედმეტად გასაიდუმლებული ჯგუფი „თეთრი რაინდები“ მისისიპიდან. ის ითვლიდა 6 დან 7 ათასამდე

წევრს.[114]სეგრეგაციული მოქმედებებიდან ამ პერიოდში ყველაზე დიდი რეზონანსი მოჰყვა ორ ინციდენტს. 1. 1963 წლის 15 სექტემბერს, ბაბტისტური ეკლესიის აფეთქებას ბირმინგემში, რასაც 4 სავკანიანი გოგონას სიცოცხლე შეეწირა. 2. 1964 წლის 21 ივლისს ფილადელფიაში ორი თეთრკანიანი და ერთი შავკანიანი მოქალაქის მკვლელობა. ამავდროულად, კლანის მოქმედებების შედგად 70 -მდე პერიფერია იქნა აფეთქებული და 30 ეკლესია გადამწვარი ჯორჯიასა და ალაბამაში. მისისიპში 10 მკვლელობის ფაქტს ჰქონდა ადგილი.[115]

აღსანიშნავია, კუ კლუქს კლანის ისტორიის მანძილზე გამოყენებული დასჯის მეთოდები. „ქვეადამიანებს“, როგორც ისინი უწოდებდნენ შავკანიანებს, ებრაელებსად ა ემიგრანტებს, კლანის წევრები აშანტაჟებდნენ, ბობმბავდნენ მათ სახლებსა და საწარმოო ტერიტორიებს, ახრჩობდნენ , მუავით წვავდნენ, ხვრეტდნენ, დანით აყენებდნენ საზარელ ჭრილობებს, ქვებით ქოლავდნენ, ცოცხლად წვავდნენ, კასრტრაციას უკეთებდნენ და მრავალი სხვა.

ეს ორგანიზაცია აგრესიულ ქმედებებს ახორციელებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით, სამხრეთით. 1964 წელს ფედერალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა საიდუმლო კონტრშეტევის გეგმა, რის შედეგადაც იმედი ჰქონდათ, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებდნენ ამ ორგანიზაციის გავლენის სფეროს, ამ დროისთვის ორგანიზაცია ითვლიდა 10,000 წევრს, 14 სხვადასხვა ჯგუფში. ზემოთ აღნიშნული გეგმის თანახმად, ჯგუფებში შეაღწიეს ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

კლანის დანაშაულებრივმა მოღვაწეობამ საქმეში ჩართო პრეზიდენტ *ლინდონ ჯონსონის* ადმინისტრაცია. ამ უკანასკნელმა და კონგრესმენმა *ჩარლზ ველგიერამ* ჯორჯიის შტატიდან 1965 წელს, დაიწყო გამოძიება ორგანიზაციის გასაიდუმლეულ მხარეებზე. გამოძიების შედეგად 1871-1921 წლებში კლანიდან 7 ხელმძღვანელის გამორიცხვა მოხდა, მაგრამ მათ არ გაამჟღავნეს ორგანიზაციის ამოცანები.[116]

---

[114]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.127.
[115]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.148.
[116]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.149.

კლანის მსხვერპლთა სრული სიის გამოტანა ფიზიკურად შეუძლებელია, თუმცა ძირითადად ისნი შავკანიანთა უბნიდან გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სიას აქტიურად დაემატნენ: ებრაელები, კომუნისტები, კათოლიკეები, ჩინელები და ჰომოსექსუალები. [117] ისინი რადიკალურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ აშშ-ის ფედერალურ ხელისუფლებას. ხშირად კლანსმენები ნასამართლები იყვნენ სამხედრო მოხელეებზე თავდასხმისათვის.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კლანის აღორძინება უკვე ოფიციალურად მოხდა მესამედ. 1975-1979 წლებში წინა წლების კრიზისი დაძლეულ იქნა და კლანსმენთა რაოდენობა 6,500-იდან 10,000-მდე გაიზარდა. იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ოფიციალურად კლანის წევრი არ იყო, თუმცა მარშირებაში და მის პიარში ჩართული იყო წარმოადგენდა 75,000.[118]

მესამე კლანის აღზევებაში უდიდესი როლი ითამაშა *დევიდდიუკმა.* [119] მან საზოგადოებაში შეცვლილი ფორმა დაამკვიდრა. 1975 წელს მის მიერ დაწყებულმა პიარ კამპანიამ, მოგზაურობამ, ტელევიზიით გამოსვლამ კლანის პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. იგი გამოირჩეოდა ჩაცმის სტილით და ორატორული ნიჭით რამაც ადვილად მოახდენინა გავლენა საზოგადოებაზე. დიუკი ადვილად ახერხებდა ორგანიზაციის ექსტრემისტული მიზნების შენიღბვას . [120]

დიუკი იყო დახვეწილი, გამორჩეული და განათლებული პიროვნება, ამდენად გასაკვირი არ არის რომ მისი ამბიციები პოლიტიკაში ჩართულობითაც გამოიკვეთა. დიუკი კლანის საშუალებით ფართო მასებზე დიდ გავლენას ახდენდა, მრავალი მხარდამჭერიც დააგროვა, თუმცა პოლიტიკური წარმატებებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ის ჯერ 1979 წელს , ლუიზიანას სენატის არჩევნებში, შემდეგ კი 1988 წლის საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევნებში დამარცხდა. [121] მალე დიუკს ჩამოერთვა კლანის ლიდერის

---

[117]**Ronald, E. Vogel; Hirschel, J. David.** Rights for the nazis, communists and ku klux klan: An empirical analysis of student perceptions,American Journal of Criminal Justice, 1984.გვ.35.

[118]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.186.

[119]**Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.გვ.17.

[120]**Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.გვ.20.

[121]**Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.გვ.57.

სტატუსი, მას ბრალი დასდესჯაშუშობაში ხელისუფლების სასარგებლოდ. დიუკი მხილებულ იქნა, *დონ ბლეექის* მიერ, რომელიც ამიერიდან ჩაუდგა კლანს სათავეში. ამ უკანასკნელის პირველობაც დიდხანს არ გაგრძელებულა, 1981 წელს ის დააპატიმრეს სხვა ლიდერებთან ერთად, დომინიკის რესპუბლიკაში ხელისუფლების გადატრიალების მოწყობის მცდელობისთვის. [122]

ამ დროს ქვეყნის ყურადღება მიიპყრო ახალმა მეთაურმა, „უხილავი იმპერიის“ „დიდმა ვეზირმა“*ბილ ველკინსონმა,* რომელიც ჩნდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების გარეკანზე, ორ პირად მცველთან ერთად, მათ იარაღი პირდაპირ კამერებისკენ ჰქონდათ დამიზნული. ამ ფოტოების უკან მუქარა იდგა, რომელსაც გამოვლინდა ბილ ველკინსონის სიტყვებში: *„იარაღი რომელიც ჩვენ მიტინგზე ვატარებთ, კურდღლებისთვის სულაც არ არის განკუთვნილი“.*[123]

ველკინსონი ძალიან დიდ ძალისხმევას დებდა, რომ ორგაიზაციაში რეკრუტირება გაეზარდა, განსაკუთრებით ის ორიენტირებული იყო ახალგაზრდა წევრების მიღებაზე. მისი თაოსნობით მოეწყო სპეციალური ბანაკი ალაბამაში. სადაც, მოზარდები გადიოდნენ სამხედრო წვრთნებს და იღებდნენ განათლებას კლანის ისტორიის შესახებ.[124]მთავარი ამოცანა იყო ბავშვობიდან შეჩვეოდნენ ძალადობას. უფროსების მითითებით, „უჩინარი იმპერიის“ სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა ათობით მოზარდმა, დაწვა სკოლის ავტობუსი.

ამერიკელები, რომლებიც ყველაფერში თანასწორუფლებიანობის მომხრენი იყვნენ, კლანის სისასტიკის მიუხედავად, მხარს უჭერდნენ ორგანიზაციის აზრის გამოხატვის თავისუფლებას. საზოგადოება როგორც ნებისმიერ პარტიას თუ დაჯგუფებას, კლანსაც აძლევდა საშუალებას დემონსტრაციის მოწყობისა და აზრის დაფიქსირების საშუალებას, ხელისუფლებას კი კლანის დანაშაულებები სიმშვიდის საშუალებას არ აძლევდა.ხელისუფლება სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავდა:

1. *ნაციონალურ და რასობრივ შევიწროებაზე გაიზარდა ჯარიმები.*

---

[122]**Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.გვ.62.

[123]**Bowers, Richard.** Superman versus the Ku Klux Klan: The True Story of How the Iconic Superhero Battled the Men, of Hate National Geographic Society, 2012.გვ.115.

[124]**Johnsen, Julia.E.** Debating the Ku Klux Klan, Westphalia Press, 2015.გვ.108.

2. *აკრძალულ იქნა კაპიშონები და ბალახონისებური მასკები საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში.*
3. *კულტურულ ღონისძიებებზე ნებისმიერ დარბევაზე თუ უწესო მოქცევაზე დიდ ჯარიმას ახდევინებდნენ.*
4. *აიკრძალა ნებისმიერი იარაღის ტარება მასობრივი დემონსტრაციების დროს.*
5. *აიკრძალა კოცონების გაჩაღება.*
6. *კლანსმენებისთვის დაუშვებელი იქნა სამხედრო-სასკოლო მომზადება.*
7. *აიკრძალა სპონტანური მსვლელობები. ორგანიზაცია ვალდებული იყო წინასწარ შეეთანხმებინა მსვლელობის ადგილი და მარშრუტი ფედერალურიდაზვერვის სამსახურთან.*[125]

1988 წელს კი 17 შტატში მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაიკრძალა მარშირება და ყველანაირი დემონსტრაციის მოწყობა, ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლების გარეშე. ამის შედეგად ფლორიდასა და სამხრეთ კაროლინაში დაპატიმრებული იქნა სხვადასხვა კუ კლუქს კლანის ჯგუფები.[126]

3.2იდეოლოგიურ-რელიგიური იდენტობები

რელიგიისმიღებულიდაგაზიარებულიგანსაზღვრებაარარსებობს. ეტიმოლოგიურ-ადრელიგიამომდინარეობსლათინურიზმნიდანRE-LIGIO, რაცნიშნავს–„ვუკავშირდები“, გადატანითიმნიშვნელობითკინიშნავსკულტმსახურებას. პირველადსიტყვარელი-გიაგვხვდებაძვ.წ. Iსაუკუნისწერილობითძეგლში, რომელიცრომაელციცერონსეკუთ-ვნის.[127] რელიგიისგანსაზღვრებებში, რომლებიცსხვადასხვაავტორისმიერარისჩამოყალი-

[125]**Ronald, E. Vogel; Hirschel, J. David.** Rights for the nazis, communists and ku klux klan: An empirical analysis of student perceptions,American Journal of Criminal Justice, 1984.გვ.48.

[126]**Bowers, Richard.** Superman versus the Ku Klux Klan: The True Story of How the Iconic Superhero Battled the Men, of Hate National Geographic Society, 2012.გვ.122.

[127] **ნუგზარ პაპუაშვილი.** მსოფლიო რელიგიები საქართველოში. ელ.ვერსია - http://gelati.edu.ge/wp-content/uploads/2013/06/მსოფლიო-რელიგიები-საქართველოი.-ავტორი-ნუგზარ-პაპუაშვილი.pdf.

ბებული, განუყოფელელემენტსწარმოადგენსუზენაესისარსებობისრწმენა.

სოციოლოგი*გერჰარდლენსკი*ელიგიასგანსაზღვრავს,როგორც„სისტემასრწმენა-თაძალებისა, რომლებიცსაბოლოოჯამშიმართავენადამიანისბედს, მასთანდაკავშირებულიარიტუალები, რომლებიცგამოიყენებაგანსაზღვრულიჯგუფისწევრიადამიანებისმიერ.[128]

რწმენაადამიანსაყენებსინდივიდუალურიშეგნებისმდგომარეობაში, რადგანისარისპირადი, საკრალური, ეფუძნებარასხვადასხვაწმინდარიტუალებსადაჩვეულებებს,რომელიცადამიანთაცხოვრებაშიმყარადფესვგადგმულიდაახლობელია.

დღევანდელ დღეს რელიგიური კულტურის აღორძინება, რასისტულ შეხედულებებზე შეიძლება ანაქრონიზმად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამავდროულად ჩვენ ვამჩნევთ სხვადასხვა დაჯგუფებებისა და მოძრაობების გააქტიურებას, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თეთრი რასისტული მოძრაობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ რასისტული იდეალების გაბატონება შესაძლებელია სხვადასხვა რელიგიისა და მსოფლმხედველობის აღდგენის გზით.

თეთრ რასას გააჩნია საერთო გენეტიკური ფესვები, მაგრამ სხვადასხვაგავრად წარმოუდგენიათ რალიგიის წარმოშობის საკითხი, ამდენად ჩვენი აზრი არ უნდა მოვახვიოთ თავს სხვებს და არც მისი უგულვებელყოფა და დაკნინება მიგვაჩნია სწორად.

ზოგადად რელიგიას საუკუნეების მანძილზე, სახელმწიფოები იყენებდნენ პოლიტიკურ იარაღად. კლანის პრაგმატულ გათვლად მიგვაჩნია პროტესტანტიზმის გულმოდგინე მიმდევრობა. არცერთ პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ძალას არ აწყობს, სახელმწიფო რელიგიათ კათოლიციზმი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო -ვატიკანი და ლიდერი-პაპი ჰყავს. ისტორიამ გვაჩვენა რომ ამ ძალას დიდი ამბიციებისა და გავლენის გამომჟღავნება შეუძლია.

კლანის ლიდერი ევანსი პირდაპირ ამბობდა კათოლიკეებზე: *„მათთან ასმილიაცია უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს შტატების სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, რადგან ისინი რომის პაპს უფრო ექვემდებარებიან, ვიდრე ამერიკის მთავრობას. მათ სურთ რომ ბავშვებმა ისწავლონ არა საზოგადოებრივ სკოლებში, არამედ იმ ეკლესიების კონტროლქვეშ გაიზარდონ, რომელიც ამერიკაშიც კი არ არის დაფუძნებული.*

[128]**Gerhard Lenski.** The Religious Factor.Garden City: Doubleday Anchor Books, 1963,გვ. 331.

კათოლიციზმისადმი ნამდვილი პრეტენზია რელიგიაში კი არ გამოიხატება, არამედი იმაში რომ კათოლიკური ეკლესია პოლიტიკაშია ჩართული, კარგად ორგანიზებულიადა ძლევამოსილი მეტოქეა ყოველი პოლიტიკური მთავრობისთვის".[129]

იმ დროს როცა კუ კლუქს კლანი წევრების ნაკლებობას განიცდიდა, ფაშისტების მომხრე ამერიკელების ყურადღება მიიქცია, ნეონაცისტურმა ახალმა ძალამ. მსგავსად კლანის მომხრეებისა, ისინიც დარწმუნებულნი იყვნენ თეთრი რასის უპირატესობაში, თუმცა ორგანიზაციისგან განსხვავებით, ნეონაცისტები იყვნენ გამოწყობილი სამხედრო ფორმებში, და *ადოლფ ჰიტლერის* მიმდევრებად მოგვევლინენ. ნეონაცისტურმა მოძრაობამ გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ფართო კონსოლიდაცია ვერ მოახერხა და თავდაპირველად ძლევამოსილებაც ვერ მოიპოვა.

1975 წლისთვის, ზოგიერთმა ნეონაცისტურმა მოძრაობამ გადალახა წინააღმდეგობები და ადგილი დაიმკვიდრა პოლიტიკაში.1976 წელს ერთ-ერთმა ლიდერმა თეთრკანიანთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიიდან, მიიღო თითქმის 3000 ადამიანის მხარდაჭერა ქალაქ მილუოკის მერის არჩევნებზე.[130] ყველაზე მეტი მხარდამჭერი მოაგროვა ამერიკის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერმა, *ჰაროლდ ქოვინგტონმა*მიიღო. მან, ჩრდილოეთ კაროლინაში არჩევნებში მარცხის მიუხედავად, შეძლო 56,000 ადამიანის ხმის მოპოვება. ამავე დროს ერთ-ერთი ლიდერი ნაცისტების *ჯერარდ კარლსონი* გახდა რესპუბლიკელთა კონგრესის არჩევნების კანდიდატი მიჩიგანში. თუმცა, ბოლო მომენტში სხვა ორგანიზაციის წევრების მსგავსად, ეს კანდიდატიც დამარცხდა, მან 32 % მოიპოვა ხმების.[131] 1970-80 წლებში თავად კუ კლუქს კლანის მეთაურებს შორის თავი იჩინა დაპირისპირებებმა. მაგრამ მათ შავკანიანების, ებრაელებისა და ემიგრანტების სიძულვილი აერთიანებდათ. ამ დროის მეთაურმა, *დევიდ დიუკმა* და *დონ ბლეკმა* ორგანიზაციის ატრიბუტიკას დაუმატეს სამხედრო ფორმა და ნაცისტური მისალმება, ჯორჯიაში.

---

[129] **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.გვ.36.

[130] **Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.190.

[131] **Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.გვ.209.

70-იან წლებში კლანის აღმავლობა ჯერ კიდევ გრძელდებოდა , თუმცა 1987 წლისთვის საგრძნობლად შემცირდა. ორგანიზაციის მთელი არსებობის მანძილზე, უშედეგოდ დამთავრდა მცდელობა ვალებში გადავარდნილი ფერმერები, კონსერვატიულად განწყობილი სტუდენტები, დიდი გადასახადებით უკმაყოფილო ადამიანები გადაებირებინათ. 1980 წელს ორგანიზაცია მძლავრ წინააღმდეგობებს წააწყდა. პოლიცია მათ მთელი ძალებით დაუპირისპირდა, როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას. სასამართლოს მკაცრი გადაწყვეტილებების გამო, მრავალი მისი წევრი ციხეში მოხვდა. ამან კლანის წევრთა შემცირება გამოიწვია თუმცა კი, გავლენის სფეროებს მაინც ინარჩუნებენ.

კუ კლუქს კლანის ხელმძღვანელები 80-იანი წლების შუა პერიოდში, ალაპარაკდნენ *„ახალი ერის მოძრაობის“* იერიშზე. [132] რომელიც ითვალისწინებდა, მასიური გამოსვლების, მარშების და მიტინგებიდან უფრო მძლავრ შეიარაღებულ ქმედებებზე გადასვლას. ეს იქნებოდა იატაკქვეშა მოძრაობები, რომლებიც იმუშავებდნენ რევოლუციის გეგმაზე. ამ დროს დიდმანაწილმა დატოვა ორგანიზაცია, თუმცა მეორე ნაწილი უფრო გაერთიანდა და განიმტკიცა ურთიერთობები. „ახალი ერა“ ალბათ უფრო რადიკალური გახდებოდა ვიდრე ტრადიციული ორგანიზაცია, 1987 წელს ორგანიზაცია ითვლიდა 5000 ადამიანს, როცა სხვა იდეოლოგიური ორგანიზაციები 18,000 წევრს ითვლიდა.1988 წლის, ამერიკის კონტრდაზვერვის სამსახურების მონაცემებით 67 რასისტული და ნეოფაშისტური ორგანიზაცია მოღვაწეობდა. [133] ამ ჯგუფებს სხვადასხვა სახელწოდებები ჰქონდათ,მაგრამ იდეოლოგია და სტრატეგია ერთიდაიგივე, ერთდაიგივე ადამიანები სხვადასხვა ჯგუფებში წევრიანდებოდნენ ერთდროულად და ერთმანეთის მიტინგებს ესწრებოდნენ. მათ სხვადასხვა სახელწოდებები ჰქონდათ თუმცა იდეოლოგიადამიზნები თანხვედრაში მოდიოდა. 1983 წელს, ასეთი კოალიციის გაერთიანება მოხდა როდესაც არიულ-ნაცისტური კონგრესის, ნეონაცისტებისა და კუ

[132]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.192.
[133]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.195.

კლუქს კლანის მხარდამჭერები გაერთიანდნენ ერთ სტრუქტურაში, სახელად *„წესრიგი“.*[134]

რომლებიც თავის მტრებად აღიარებდნენ არა მარტო შავკანიანებსა და ებრაელებს არამედ მთლიანად ხელისუფლების შემადგენლობას, მათი მიზანი იყო „ტოტალური რევოლუციის“ მოწყობა. ისინი დიდი მონდომებით გეგმავდნენ და ახორციელებდნენ მკვლელობებს, ძარცვებს, აფეთქებებს, მანამ სანამ ამ ორგანიზაციის 23 წევრი არ იქნა დაპატიმრებული.

სხვა რადიკალური ორგანიზაციები, ჯგუფებიც, არსებობდნენ. მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰყავდათ აქტივისტები და ამტკიცებდნენ, რომ თეთრი ინგლისელები იყვნენ „დაკარგული მუხლის“ ებრაელების ნამდვილი მემკვიდრეები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლიათ რასებს შორის ომის მოგვარება.

დამოუკიდებელიშტატების კომიტეტის წევრებს, მიაჩნდათ რომ რეალური ხელისუფლება უნდა გადასულიყო ადგილობრივ ხელმძღვანელობებზე, ხოლო ფედრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი მოსისხლე მტრებად მიიჩნევდნენ. როგორც ზემოთჩამოთვლილი და მათი მსგავსი ორგანიზაციები არ იბრძოდნენ თავიანთ წევრების რადიკალურად გაზრდისთვის, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ნებისმიერი რევოლუციის წარმატება, დამოკიდებული იყო იმ ათობით ადამიანზე, პირველ რიგში ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა, რომლებიც გონიერად ატარებდნენ პროპაგანდისტულ მუშაობებს საინფორმაციო მასიურ სამსახურში.

ამავდროულად, რასისტები თავიანთ რიგებში იწვევდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს. ჯგუფი „არიული ნაციის“ ყველაზე აქტიური წევრები იყვნენ პატიმრები, რომლებსაც სათავეში ედგათ *რიჩარდ ბატლერი.*

სპეციალურ გაზეთში „Thr Way“ (გზა), ისინი თავიანთ თავებს როგორც *„სიონისტურიხელისუფლებისგან ოკუპირებულ პოლიტიკურ პარტიებს“*უწოდებდნენ.ეს ადამიანები რომელთა რიცხვი აღემატებოდა 2000, იყვნენ იდეალური კანდიდატები მსგავს რადიკალური ჯგუფებისა. მათ ერთხელ უკვე აჩვენეს აკრძალვების და დევნის

[134]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.199.

დროს როგორ უნდა ემოქმედათ. მეორეს მხრივ, ისინი ყველაზე ერთგული წევრები ხდებოდნენ ორგანიზაციაში განთავსების შემდეგ. რადგან ორგანიზაციის მხრიდან ისინი გრძნობდნენ ციხეში ყოფნის დროს მორალურ, იდეოლოგიურ, ფინანსურ მხარდაჭერას.

ასეთივე მსგავსი ორგანიზაციებისთვის ყველაზე სასურველი წევრებად ითვლებოდნენ ტომ მეცგერიდა მისი შვილი ჯონი.[135] „არიული ახალგაზრდული მოძრაობის" ლიდერი რომელიც იყო მჭიდრო კავშირში სხვა ახლგაზრდულ ნეონაცისტურ მოძრაობებთან, რომლებიც ეხმარებოდნენ საზოგადოებრივი გამოსვლების მოწყობაში ერთმანეთს და დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელებაში, სხვა ნეონაცისტური მოძრაობის ლიდერებიც რეგულარულად ჩადიოდნენ. იმ ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტები იყო ცდილობდნენ მოზარდების ჩართვას ნაცისტურ მიმდინარეობებში. *ჰარი გალო* და *რიჩარდ ბარეტი,* აგრეთვე მისი მომხრეები ახალგაზედებს სთავაზობდნენ მარტივ და დეტალურ განმარტებებს არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ისნის ახალგაზრდობას მიიჩნევდნენ სხვადასხვა უმცირესობების მსხვერპლზე. მათ ასევე სთავაზობდნენ სოციალური პრობლემების აღმოსაფხვრელად მარტივ გზებს.1988 წელს, როდესაც ორგანიზაციის ლიდერები დაადანაშაულეს ხელისუფლებაში ძალადობრივი შეჭრისთვის, ანალიტიკოსები გამოთქვამდნენ სხვადასხვა ვერსიებს სამომავლოდ, კერძოდ დიდი ფინანსური თანხების დახარჯვის მიუხედავად- *რიჩარდ ბადერის* და *რობერტ მაილსის* ასაკის გამო, მოძრაობა დაკარგავდა ძალიან ბევრ მხარდაჭერის. მეორე მხრივ სხვა ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ იატაკქვეშეთში მოქმედი საიდუმლო ორგანიზაციების ძალას ვერავითარ შემთხვევაში ვერ განსაძღვრავდნენ, მათი წევრების რაოდენობის მიხედვით.

„წესრიგი" - 70 წლების დასაწყისში, კუ კლუქს კლანის აღორძინების დროს, მისი წევრები წააწყდნენ სერიოზულ და საგულდაგულო მომზადებულ წინააღმდეგობებს,ყველაზე ორგანიზებულს ვიდრე ადრე.

---

[135]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.201.

სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ წარმატებულად განხორციელებულმა რეფორმებმა, ზედმიწევითმა კონტროლმა წესრიგის სამსახურის მიერ ორგანიზაციის მოქმედებებზე, ასევე გახმაურებულმა სასამართლო პროცესებმა მკვეთრად შეამცირა რასისტულად განწყობილი ჯგუფების რაოდენობა. ამერიკაში. ამ სიტუაციაში სხვდასხვა ჯგუფებმა თავისებური ხერხით სცადეს სირთულეების დაძლევა. ძირითადი ფორმა დემონსტრაციების მოწყობა იყო. აღსანიშნავია რომ კუ კლუქს კლანის გამოსვლები ამ დროისთვის ყველაზე ჯანსაღი და მშვიდობიანი იყო. თუმცა რადიკალურად განწყობილი სხვა დაჯგუფებები აგრესიით გამოირჩეოდნენ და აცხადებდნენ რომ აშშ-ში ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები მხოლოდ ძალადობისა და რევოლუციის შედეგად გადაწყდებოდა.

ტომ მეცგერი, „თეთრი არიული წინააღმდეგობის“ ლიდერი, ღიად მოუწოდებდა საზოგადოებას ძალადობისკენ და მიაჩნდა, რომ წინამორბედებმა ორგანიზაციის გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, რადგან ძირითად დროს უთმობდნენ იდეოლოგიურ მუშაობას, ახალგაზრდა თაობის აღზრდას, და არა პრაქტიკულ მუშაობებს.

1983 წელს „არიული ნაციის პარტიის“ ყრილობაზე, რომელსაც მაშინ რიჩარდ ბატლერი მეთაურობდა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეექმნათ ჯგუფი „წესრიგი“. მის წევრებმა აქტიურად დაიწყეს რევოლუციური იდეების განხორცილება. [136] ისინი შეიარაღდნენ, ამზადებდნენ მომხრეებს პარტიზანული ომებისთვის, თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და გეგმავდნენ ფართო მასშტაბიან გამოსვლებს ქვეყანაში.

1985 წელს 24 წევრი „წესრიგის“ ჯგუფიდან გასამართლებული იქნა ჟურნალისტის, *ალან ბერგის* დენვერიდან, „არიული ნაციის“ წევრის *უოლტერ ბესტის* მკვლელობისთვის. [137] ასევე საინკასატორო მანქანების დაყაჩაღებისათვის, როცა 3,6 მილიონი 500,000 დოლარი გაიცა, სიეტლში ორი ბანკის გაძარცვისთვის.[138] დამნაშავეები მხილებულ იქნენ არალეგალურად იარაღის ტარებისთვისა და ასაფეთქებელი

---

[136]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.201.

[137]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.124.

[138]**McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.151.

ნივთიერებების შენახვისთვის. იუსტიციის დეპარტამენტში პროცესის დამთავრების შემდეგ გაიხსნა ახალი საქმე, *რიჩარდ ბატლერის, რობერტ მაილზისა* და *ლუის ბიმის* წინააღმდეგ. ისინი ნასამართლევი იქნენ ხელისუფლების დამხობის მცდელობისთვის.თუმცა არკანზასის სასამართლომ სამივე ლიდერი გაამართლა.[139]

გლენ მიულერი იყო ნაციონალურ სოციალისტური პარტიის წევრი 1979 წელს მონაწილეობდა გრინსბორში შეტაკებისას, რომლის დროსაც 5 მონაწილე დაიღუპა, რომლებიც კუ კლუქს კლანის მოღვაწეობას აპროტესტებდნენ. ერთი წლის შემდეგ, მხოლოდ ლოზუნგებით ვეღარ ახერხებდნენ ორგანიზაციის წევრების მიზიდვას, ამიტომ მიულერმა ახალი მოძრაობა დააარსა, *„კუ კლუქს კლანის რაინდები“.* რომლებმაც აქტიური წევრები მიიმხრო ჩრდილოეთ კაროლინაში, მათ კარგად ორგანიზებულ რამოდენიმე მარშის მოწყობა მოახერხეს, ტრადიციული ფორმებითა და ნიღბებით. მიულერი აქტიურად ჩაება პიარკამპანიაში, იგი გამოდიოდა რადიოსა და ტელევიზიაში და ავრცელებდა იდეოლოგიას, მის პოპულარობას ასევე ხელი შეუწყო გაზეთებში გამოქვეყნებულმა მისმა ვრცელმა ინტერვიუებმა, ამერიკელი ხალხისთვის ხომ გაზეთების კითხვა ყოველდღიური რუტინაა. 1984 წლს მიულერი მომხრეებთან ერთად არჩევნებშიც კი იღებს მონაწილეობას.[140] მართალია დამარცხდნენ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს ხმების დაგროვება, რაც რეკრუტირებაში დაეხმარათ.

1985 მიულერის ხელძღვანელობით ორგანიზაციას ჰყავდა უკვე 23 განყოფილება. მათი სრული წევრების რაოდენობა რამდენიმე ათასს ითვლიდა. მიულერი იზიარებდა მოსაზრებას სხვადასხვა „მემარჯვენე“ ლიდერებისა, რომ უფრო აქტიურად უნდა მოპოვებინათ ახალგაზრდების მხარდაჭერა. ამ მიზნით მიულერმა შექმნა სამხედრო სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდა წევრები ეუფლებოდნენ სამხედრო განათლებას. ამ სისტემის შესახებ მილერმა არაერთხელ ისაუბრა ტელევიზიით გამოსვლისას. ასევე გამოჰყავდა სამხედრო ფორმებში გამოწყობილი მოზარდები და მაყურებლებს სწვლების პროცესსა და პირობებს აცნობდა. ეს კამპანია ეხმარებოდა ახალგაზრდა წევრების

---

[139] **McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.გვ.152.

[140] **Nancy K.** MacLean Behind the Mask of Chivalry: The Making of the Second Ku Klux Klan, Oxford University Press, USA, 1995.გვ.79.

მიზიდვაში და კიდევ უფრო უახლოვდებოდა მთავარ მიზანს, „თეთრი რევოლუციის“ მოწყობას.1985 წელს გლენნ მილერმა შეცვალა ორგანიზაციის სახელწოდება და „კაროლინის რაინდების“ ნაცვლად დაარქვა „კომფედერაციის რაინდები“.[141] მიულერმა ერთ-ერთ შეხვედრაზე აღნიშნა რომ ჩვენ არამარტო ვქმნით ახალ თეთრ ქრისტიანულ არმიას, არამედ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის დაბრუნებას, ჩვენ მინიმუმამდე შევამცირებთ დანაკარგის რაოდენობას, მაგრამ არავის დავინდობთ ვინც წინ გადაგვეღობება. ორგანიზაციის სახელთან ერთად შეიცვალა სხვა ვიზუალური მხარეების. ტრადიციული ბალახონები და ნიღბები ჩაანაცვლა სამხედრო ფორმამ და ამერიკულმა ჩექმებმა.[142]

1984 წელს მათ „წესრიგის“ წევრებისგან მიიღეს 200,000 ათასი დოლარი. მიულერი ორგანიზაციის ხლმძღვანელის გარდა სხვადასხვა თანამდებობებსაც ითავსებდა. ორგანიზაციის წარმატებებმა შეაშფოთა ვაშინგტონის ადმინისტრაცია.1985 წელს თავად მიულერისა, მისმა მოადგილე *სტეფან მიულერის* ხელმძღვანელობით, მთელი ორგანიზაცია მხილებულ იქნა უკანონო შეიარაღებაში, და მრავალი მათგანი დააპატიმრეს, თუმცა ჯარიმის წყალობით მალე გაანთავისუფლეს. [143] საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მიულერი განაგრძობდა აქტიურ ქმედებებს და 1987 წლის აპრილში, მთლიან დაჯგუფებას მოუწოდა „ტოტალური ომისკენ“ შავკანიანებისა და ებრაელების“ წინააღმდეგ.[144] ამ მიმართვის შემდეგ მიულერი გაქრა 10 დღის მერე იქნა დაკავებული თავის მომხრეებთან ერთად მისურის შტატში. საზოგადოება შოკირებული დარჩა როდესაც მან აღიარა დანაშაული და საკუთარი მიმდევრები გამოამჟღავნა.

თავად პარტია ამ მოვლენების შემდეგ დაიშალა, უმრავლესობა შეუერთდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას მერილენდიდან, რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ გრძელვადიაი იდეოლოგიური და ფიზიკური მომზადება „თეთრი გადატრიალებისათვის.“ როგორც გაირკვა კლანის მრავალწლიანი ისტორია, ხასიათდება ლიდერებისა და

---

[141]**Nancy K.** MacLean Behind the Mask of Chivalry: The Making of the Second Ku Klux Klan, Oxford University Press, USA, 1995.გვ.85.

[142]**Harcourt, Felix.** Ku Klux Kulture: America and the Klan in the 1920s, University of Chicago Press, 2017.გვ.217.

[143]**Harcourt, Felix.** Ku Klux Kulture: America and the Klan in the 1920s, University of Chicago Press, 2017.გვ.219.

[144]**Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.გვ.152.

აქტივობების შესაბამისად. ორგანიზაციამ 1866 წლიდან, მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, შეძლო სამჯერ აღზევება. კუ კლუქს კლანი არ იყო უბრალო სექტა, რომელიც ახირებების ფონზე მოქმედებდა. მან ამერიკის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი, როგორც რასისტულ-ტერორისტულმა ორგანიზაციამ, თუმცა დიდად ეხმარებოდა საზოგადოებას სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.ამაზე მეტყველებს კლანის ძლევამოსილების პიკი, 1920-იან წლებში. კლანის გადმონაშთი დღესაც არსებობს შტატებში, მისი პოპულარობა პირვანდელ ხასიათს აღარ ატარებს, თუმცა საკითხი საინტერესოა და ცალკე კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

დასკვნა

კუ კლუქს კლანი რასისტული ორგანიზაცია გახლდათ, რომელმაც ამერიკის სამოქალაქო ომის მიწურულს, გაიდგა ფესვები, გასცდა მშობლიურ შტატს და მოიცვა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. კლანმა ადგილი დაიმკვიდრა, პოლიტიკური პარტიების გვერძე და მათზე გავლენაც კი მოიპოვა. ინდუსტრიალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკაზე გაავრცელა საკუთარი მეთოდები. ორგანიზაციამ აურაცხელი წევრების მხარდაჭერით, მოაწყო რამდენიმე გამორჩეული დემონსტრაცია ქვეყნის ისტორიაში.

რა იყო ორგანიზაციის მსგავსი მასშტაბურობის მიზეზი?! სიახლეები რომელსაც კლანი სთავაზობდა მოსახლეობას, სიმბოლური თავისებურებები, იდეოლოგიური ფანატიზმი, პრაგმატული გათვლები და სწორი პიარკამპანია, თუ იძულებითი მეთოდები და ომგამოვლილი საზოგადოების შიში. ჩვენი აზრით კითხვაზე პასუხი არა რომელიმე კომპონენტშია, არამედ ყველა მათგანშია გადანაწილებული .

არავინ უარყოფს, რომ კუ კლუქს კლანის მოღვაწეობა ძალადობასთან ასოცირდება და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა კლანსმენები საზოგადოებისთვის სასიკეთო ღონისძიებებსაც ატარებდნენ. ისინი ეხმარებოდნენ ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს, აფინანსებდნენ უნივერსიტეტებს, დაობლებულ მოზარდებს ეხმარებოდნენ ფინანსურად, ძალები მიმართეს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური პირობების გაუმჯობესებისკენ.

კუ კლუქს კლანი ფართომასშტაბიანი მოვლენა იყო. ჩვენი კვლევა მოიცავს ორგანიზაციის სამჯერ აღზევების პროცესებს. დასაწყისისთვის შევეხეთ კლანის ჩამოყალიბებისა და ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ 1920-იანი წლების, „მეორე კლანს“, რომელმაც ორგანიზაციის

ისტორიაში თავისი ძლევამოსილების აპოგეას მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში დაიმკვიდრა კლანმა საკუთარი ადგილი პოლიტიკური ძალების გვერდით. ამავდროულად, დაჯგუფება ინდუსტრიული ცვლილებების ინიციატორად მოგვევლინა. „უხილავი იმპერიის“ წარმატებულ დაბრუნებას ჰქონდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამერიკულ კულტურასთან. გამოვიკვლიეთ ორგანიზაციის რელიგიურ-იდეოლოგიური იდენტობები. მნიშვნელობა მივანიჭეთ, მესამედ აღორძინებული კლანის მანევრებს, პიარკამპანიის თავისებურებებს. აღსანიშნავია რომ, ამ უკანასკნელ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე არაფერი დაწერილა.

მიუხედავად წარმატებებისა, „უხილავმა იმპერიამ“ საკუთარი თავი თავადვე ჩაძირა. სამჯერ აღორძინება, ვერ გახდა საკმარისი, მსოფლიოზე რასიზმის, „100 პროცენტიანი ამერიკელის“, ანტისემიტიზმისა და ანტიკათოლიკური მსოფლმხედველობის გაბატონებისთვის.სამოქალაქო ომის ეს გადმონაშთი, დღესაც არსებობს შტატებში, ეს ცალკე საკითხია და ღრმა კვლევას მოითხოვს. ამდენად, ვფიქრობთ ქართული ისტორიოგრაფია მეტად უნდა დაინტერესდეს მსგავსი საკითხებით. ქართული სინამდვილისთვის, ვფიქრობთ თემა აქტუალურია, ვინაიდან გზა რომელიც აშშ-მა 1920-იანებიდან დღემდე გაიარა, ჩვენ ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს და მსგავსი გამოცდილება, ამჟამინდელ პოლიტიკურ პირობებში , „სხვის შეცდომებზე“ სწავლაში გამოგვადგება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

საგაზეთო სტატიები:

1. **Dessommes, Nancy.** Hollywood in Hoods: The Portrayal of the Ku Klux Klan in Popular Film,The Journal of Popular Culture,1999.
2. **"Imperial Night Hawk."** "Imperial Wizard Outlines Klan Objectives before Immense Gathering in Ohio," July 18, 1923.
3. **Ronald, E. Vogel; Hirschel, J. David.** Rights for the nazis, communists and ku klux klan: An empirical analysis of student perceptions,American Journal of Criminal Justice, 1984.

დოკუმენტების კრებულები:

4. **Simmons.W.J.** Kloran: Knights of the ku klux klan, Atlanta,1916.

სამეცნიერო ლიტერატურა:

5. **Bowers, Richard.** Superman versus the Ku Klux Klan: The True Story of How the Iconic Superhero Battled the Men, of Hate National Geographic Society, 2012.
6. **Bridges, Tyler.** The Rise of David Duke , University Press of Mississippi, 1995.
7. **Chalmers, David.**Backfire: How the Ku Klux Klan Helped the Civil Rights Movement,2003.
8. **Cunningham, David.** Klansville, U.S.A.: The Rise and Fall of the Civil Rights-Era Ku Klux Klan, Oxford University Press, USA , 2010.
9. **George, John; Wilcox, Laird.**Nazis, Communists, Klansmen, and Others on the Fringe: Political Extremism in America, Prometheus Books, 1992.
10. **Harcourt, Felix.** Ku Klux Kulture: America and the Klan in the 1920s, University of Chicago Press, 2017.
11. **Jenkins, William D.** Review of Behind the Mask of Chivalry: The Making of the Second Ku Klux Klan. Journal of Social History, 1995.
12. **Johnsen, Julia.E.** Debating the Ku Klux Klan, Westphalia Press, 2015.

13. **Kousser,J. Morgan.** Behind the mask of chivalry: The making of the second Ku Klux Klan, Journal of the History of the Behavioral Sciences,1996.
14. **Lenski, Gerhard.** The Religious Factor. Garden City: Doubleday Anchor Books, 1963.
15. **Lutholtz, William M.** Grand Dragon: D. C. Stephenson and the Ku Klux Klan in Indiana. West Lafayette, Ind.: Purdue University Press, 1991.
16. **McVeigh, Rory.** The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics, Univ Of Minnesota Press, 2009.
17. **Mecklin , John Moffatt.**The Ku Klux Klan: A Study of the American Mind,Russell and Russell, 1963.
18. **Moore, Barrington.**Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World,Boston: Beacon Press, 1966.
19. **Moore, Leonard Joseph.** Citizen klansmen: the Ku Klux Klan in Indiana, 1921-1928, University of North Carolina Press, 1991.
20. **Nancy K.** MacLean Behind the Mask of Chivalry: The Making of the Second Ku Klux Klan, Oxford University Press, USA, 1995.
21. **Newton, Michael.** The Ku Klux Klan in Mississippi: A History, 2010.
22. **Parsons, Elaine Frantz.**Ku-Klux: The Birth Of The Klan During Reconstruction, University Of North Carolina Press, 2015.
23. **Pegram, R .Thomas**. One Hundred Percent American: The Rebirth and Decline of the Ku Klux Klan in the 1920s,Ivan R. Dee,2011.
24. **Rice, S.Arnold.**The Ku Klux Klan in American Politics,Public Affairs Press, 1962.
25. **Rice, Tom.** White robes, silver screens : movies and the making of the Ku Klux Klan,Indiana University Press, 2015.
26. **Rhomberg, Chris .** No There There:Race, Class, and Political Community in Oakland, 2007.
27. **Sanchez, O.Juan.** Religion and the Ku Klux Klan: Biblical Appropriation in Their Literature and Songs, McFarland, 2016.

ინტერნეტ რესურსები:

28. **ნუგზარ პაპუაშვილი.** მსოფლიო რელიგიები საქართველოში. ელ.ვერსია იხ: http://gelati.edu.ge/wp-content/uploads/2013/06/მსოფლიო-რელიგიები-საქართველოი.-ავტორი-ნუგზარ-პაპუაშვილი.pdf.

29. https://www.biography.com/political-figure/nathan-bedford-forrest
30. https://www.slideshare.net/MariahBrown13/kkk-and-freedmens-bureau